დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
7. მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 200007795

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi48@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 260 05 64 577339298

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 23 0001060897 01/09/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 05 და 06 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ქ. თბილისი ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქ. თბილისი ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ქ. თბილისი ზღვის უბანი, 11 მ/რ, 1 კვ.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში.

ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.

დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ : სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან.

ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .

აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად.

ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ **არ შეესაბამება**
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	■ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა რაოდენობა: **960**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და ნაწილობრივ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N...		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N...		*ხარვეზი აღმოიფხვრა*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N...		*ხარვეზი არ დაფიქსირებულა*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**	***ხარვეზი***
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N...		
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (ივნისი, 2024), კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოიპოვოს : ➢ დასკვნა ,,შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ“. ➢ დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. ➢ საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან. ➢ უზრუნველყოს საევაკუაციო გასასვლელების ფუნქციონირება. კერძოდ: კიბის აღნიშნული უჯრედები გათავისუფლდეს დასაწყობებული ჩამოწერილი მაკულატურისგან, რათა აღნიშნულმა საფრთხე არ შეუქმნას საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში მოსწავლეთა დროულ ევაკუაციას.
3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (30 ნოემბერი, 2023) ვებ გვერდზე განათავსოს სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	➢ სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		➢ სასურველია სკოლის ღობეს, რომლის მთლიანობაც დარღვეულია ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, ხოლო გარე ფასადი, რომელზეც უცენზურო წარწერებია მოწესრიგდეს.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	➢ სკოლის ინვენტარის ნაწილი მერხები, ლაბორატორიის აღჭურვილობა მოძველებულია და სასურველია გაახლდეს. ასევე სკოლის შენობას და გარე ფასადს სასურველია ჩაუტარდეს კოსმეტიკური რემონტი. ➢ ღია სპორტული მოედნის საფარს სასურველია ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.
3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები	➢ სასურველია მოძველებული წიგნადი ფონდის გაახლება.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	ხელშეკრულებებში გამოიკვეთა, რომ შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ტექნიკური ხასიათის შეცდომები, (არასწორად მითითებული კლასი) რის შესახებაც სკოლას მიეცა რჩევა სამომავლოდ გამოსწორების მიმართულებით.
4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.	სასურველია სკოლამ შექმნას კითხვარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მიიღოს მოსწავლეთა უკუკავშირი, გაანალიზოს მიღებული შედეგები და დახვეწოს შეთავაზებული მომსახურებები.
4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს მეთოდოლოგია, რომელიც შეეხება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)**	*რჩევა*
2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების გზა და დაზუსტდეს კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები).
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სასურველია ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგანში ნიმუშად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გაიწეროს კურიკულუმში შემავალი ყველა თემისთვის.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია მესამე კლასის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები თემებთან მიმართებაში ესგ-ს შესაბამისად
2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სასურველი იქნებოდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემაში წარმოჩენილიყო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	მე-7 და მე-8 კლასების მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში სასურველია დაზუსტდეს საკითხები თემებთან მიმართებაში ესგ-ს შესაბამისად

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

<u>სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.</u>

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.</u>

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ წარმოადინა ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა გაწერილი, დროში მიღწევადი, რეალისტური ვადებით. შესაბამისად დასკვნის პროექტში ხარვეზად შეფასებული ინდიკატორი N 3.4.1.1. და ინდიკატორი N 3.6.3.5; დასკვნაში შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;</u>**

<u>სკოლის მისია:</u> თავისუფალი, პატრიოტი, კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდა, რომელიც მუდმივად იზრუნებს საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაზე. სკოლა თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს ღირსეული, წიგნიერი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლში ყველა მოსწავლეს ექნება თანაბარი შესაძლებლობა ,მიიღოს თანამედროვე, ღრმა და ფართო განათლება, მომზადებული შეხვდეს ცხოვრების მოთხოვნებს.
სკოლის ხედვაა, მისი თითოეული მოსწავლე აღიჭურვოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით და სოციალურად სწორი ორიენტაციით გახდეს თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებებია: სამართლიანობა და თანასწორობა; დემოკრატიულობა და ტოლერანტობა; პატრიოტულობა; გუნდურობა და პასუხისმგებლობა; თანამშრომლობა.
2023 წლის 25 სექტემბერს სსიპ ქ. თბილისის 48-ე საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სხდომის ოქმი N1განიხილა სკოლის ფილოსოფია, რომელიც დაამტკიცა სკოლის დირექტორმა. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ინდიკატორი ფასდება **სრული შესაბამისობით.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლის მისია და ხედვა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, რომელიც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ინტერვიუების ფარგლებშიც მასწავლებლები იხსენებდნენ ადგილობრივ თემთან ურთიერთობის და თანამშრომლობის გამოცდილებას, რომელიც შეეხებოდა როგორც სასწავლო პროცესს, ისე სკოლის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების ერთობლივად განხორციელებას. სკოლას გააზრებული აქვს გუნდური მუშაობის პრინციპი. იგი საკუთარი მიზნების განხორციელების პროცესში ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და კომუნიკაციას როგორიც არის შეხვედრები, კვლევები, ინიციატივები, მოსაზრებები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელიც ჩართულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში; ექსპერტთა მიერ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშვების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა შეფასდა, ერთი მხრივ, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის გზით, მეორე მხრივ კი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ინტერვიურების მეთოდით. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს სკოლის მშობლების ჩართულობას მშობელთა კრების გზით (მშობელთა კრების ოქმი), ამასთან, ფოკუს-ჯგუფების გზით სკოლამ უზრუნველყო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა. შემუშვებული და ფორმირებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაეცნო სკოლის სამეურვეო საბჭოს და შეთანხმდა მათ წევრებთან. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

გარდა ფიზიკური ხელმისაწვდომობისა, გაზიარების და მიკუთვნების შესაფასებლად საავტორიზაციო ვიზიტზე ექსპერტების მხრიდან დაისვა შესაბამისი სიღრმისეული შეკითხვები, რა დროსაც დისკუსიებისას გამოვლინდა მასწავლებლების წინარე გამოცდილებები, რაც ადასტურებდა მათ აქტიურ ჩართულობას დოკუმენტების განახლების პროცესში. სკოლის წარმომადგენლები იხსენებდნენ სკოლის ფილოსოფიაზე გამართულ მსჯელობებს, დებატებს, კონკრეტულ საკითხებს, რაც მიუთითებდა, ერთი მხრივ, დისკუსიების აქტიურ ხასიათზე, მეორე მხრივ კი კონსენსუსსა და შეთანხმებაზე ორიენტირებულ სამუშაო პროცესზე. სკოლის მისია , ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, ჩაშლილია საფეხურის მისიებად. ამდენად, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საინფორმაციო დაფაზე, სკოლის სოციალურ ქსელში. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის ნაწილიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს. სკოლას დაწყებული აქვს ვებ გვერდზე skolebi.emis.ge მუშაობა, სადაც სხვა სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად განათავსებულია სკოლის მისია. **ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება ,,სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლა“ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილ ტერმინს, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ N448 ბრძანებით. **<u>ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ბრძანება სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებების შემუშავების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***
- ***შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.***

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;</u>**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტი მოიცავს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგად მიდგომებს, მოთხოვნებსა და სამუშაო პროცესებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გუნდურობასა და კოლეგიალობაზე, თანამშრომლობასა და თანამონაწილეობაზე და ამ კონტექსტში ისეთი სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს ფორმირებაზე, რომელიც ჩართულ/დაინტერესებულ პირებს სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას მისცემს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მოცემულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცედურები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება ანალიზი, მისიის ხედვისა და მიზნების გადახედვა, დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. სკოლას აქვს საკუთარი სტრატეგიული განვითარების ხედვა. აღნიშნულს ასახვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გამჭვირვალობის მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას სკოლა ეფუძნება ღია და საჯარო მიდგომებს, სამართლიანობის მხრივ კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქცენტი კეთდება არგუმენტირებული და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაზე. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფი, რომლებიც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განვითარების მეთოდოლოგიაში საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს. **ამდენად, ინდიკატორი შეგვიძლია შევაფასოთ სრული შესაბამისობით.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სკოლას სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N_1 სხდომის ოქმით დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს შვიდწლიან პერიოდზე. სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ N 48 საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული მიმართულებები, თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად. 7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ძირითად ამოცანად სკოლამ დაისახა მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებას. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით. **ინდიკატორი შესაბამისია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტებს შორისაა კათედრის ოქმები, სადაც ჩანს რომ სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად მასწავლებლები აკეთებენ სემესტრულ და წლიურ შეფასებებს. ამასთან, სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების ჯგუფი და კათედრის წარმომადგენლებთან და სხვა მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესშიც სკოლის წარმომადგენლები დეტალურად აღწერდნენ ჯგუფის მუშაობის პრინციპებს. სკოლამ განვითარებისათვის გამოყო 5 ძირითადი მიმართულება. ესენია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან და ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას. <u>ინდიკატორი შეგვიძლია შევაფასოთ სრული შესაბამისობით.</u>

4. <u>სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.</u>

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს.სამოქმედო გეგმაში გამიჯნულია პასუხისმგებელი პირების და ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი ვადები. <u>ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .
- სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის 2022 წლის 07 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;</u>**

სკოლაის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს როგორც პროცესების და სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მონიტორინგის, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ინდიკატორზე დაკვირვება ეფექტურობის გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმარების მონიტორინგს, უკეთებს ანალიზს და შეფასებას. **<u>ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.</u>**

2. **<u>მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;</u>**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გარკვეულ დონეზე განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგის წესები და პროცედურები, ასევე ჩართული პასუხისმგებელი მხარეები. სკოლაში არსებული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად, წელიწადში ორჯერ პედაგოგიური საბჭოს ფორმატში, აგრეთვე კალენდარული წლის ბოლოს დირექტორის ანგარიშში სასწავლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების, დამრიგებელთა და მასწავლებელთა ანგარიშებში. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს განვლილი სამუშაოს შეფასებას და იძლევა რეკომენდაციას იმისთვის, რომ მომავალში საჭიროების შემთხვევაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. **<u>ინდიკატორი ფასდება</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობით.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი განიხილავენ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობას როგორც პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, ისე სამეურვეო საბჭოსთან. სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ასახულია პედსაბჭოს ოქმებში , მოსწავლეთა თვითმმართველობის ანარიშში , დირექტორის ანგარიშებში , საჯაროა და ხელი მიუწვდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯაროობის მექანიზმი გათვალისწინებულია მეთოდოლოგიაშიც. **ინდიკატორი ფასდება შესაბამისობით.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

სკოლაში დანერგილია შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შედეგების მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა და იცნობენ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კონკრეტულ მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- 2022-2023- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ <u>შეესაბამება</u>

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**</u>

სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და პოზიტიური გარემო . სკოლის სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების -საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანების მეორე თავით. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო , მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო. დასაქმებულთა უფლება -მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის ორმხრივად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით,რომლის პერსონალისათვის გაცნობის მტკიცებულება დასტურდება შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სადაც გაწერილია პერსონალის წლის განმავლობაში გასაწევი საქმიანობა . გარდა ამისა მასწავლებლის უფლება - მოვალეობები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები; საჭიროების შემთხვევაში , კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, სკოლა ახორციელებს რევიზიას და ცვლილებებს, როგორც შრომით, ასევე დისციპლინურ ნაწილში.სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციამოვალეობები რეგულირებულია პერსონალთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლას შემუშვებული აქვს სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებულია 03/10/2023, ბრძანება N 2-294). სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმის მწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ექიმის, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისგან, დამლაგებლებისგან და ცეცხლფარეშისაგან (გათბობის სეზონი). საშტატო განრიგი შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **<u>სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.</u>**

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ , ასევე საგაკვეთილო პროცესს , მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და სასკოლო კულტურის ამაღლებას . სკოლას შემუშვებული აქვს სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებულია 03/10/2023, ბრძანება N 2-294).

საშტატო განრიგი, პედაგოგებთან მიმართებაში, გამომდინარეობს სასკოლო გეგმიდან, რომელსაც პედსაბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს . სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლაში დასაქმებულ პირებს ერთმანეთთან აქვთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რაც მათ საშუალებას აძლევთ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. თითოეული თანამშრომლის ფუნქცია გაწერილია ორმხრივ ხელშეკრულებებში, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების გადანაწილებას. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი საშუალებას იძლევა სკოლის ნებისმიერმა თანამშრომელმა თავი დაცულად იგრძნოს. დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულ პირთა კონფიდენციალობა. სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და **ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, შედგენილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრებს აქვთ წლიური სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობს აღნიშნული სტრუქტურების მუშაობა. შინაგანაწესი უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი არ ეწინააღმდეგება პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებას. პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობა ხდება კრებებზე და პერსონალი ადასტურება გაცნობის ფაქტს ხელის მოწერით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, წარმოდგენილი სქემატური სახით, რომლის მიხედვითაც ხდება პროცესის წარმართვა. სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, შედგება დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან, სკოლის დისციპლინური კომიტეტისა და მოსწავლეთა თვითმმართველობისაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; მათემატიკისა და ისტის კათედრა; დაწყებითი კლასების კათედრა; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; უცხო ენების კათედრა; სპორტისა და ესთეტიკის კათედრა. კანონმდებლობის სრული დაცვით იქმნება სხვადასხვა კოლეგიური ორგანო, რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას. მაგ.: მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს დებულება. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06 ბრძანების, N 167 ბრძანების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული სსიპ ქ. თბილისის N48 - საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N2 სხდომაზე) და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც გამოიხატება კათედრების მუშაობაში, პროექტების დაგეგმვა განხორციელებაში, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვაში, კურიკულუმების შედგენასა და კომპლექსური დავალებების შედეგების გაანალიზებაში. სკოლაში მასწავლებლების და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2023 წლის 14/09 დირექტორის 2-234 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს, ახდენს შეფასებას და აძლევს უკუკავშირს მასწავლებლებს. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიურად არიან ჩართულნი.
აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და ფასდება შესაბამისობით.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სსიპ ქ. თბილისის N48 - საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N2 სხდომაზე) . ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებით და მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. ამავდროულად სკოლას პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით გააჩნია პერსონალის დანიშვნის , გათავისუფლების ბრძანებები , რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია და ფასდება სრული შესაბამისობით.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე. სკოლაში ვიზიტისას ადგილზე იქნა ნანახი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. სკოლაში თანამშრომელთა მიღების, შრომითი ურთიერთობის პირობებისა და გათავისუფლების წესი დადგენილია სკოლის შინაგანაწესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათავისუფლების წესები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას.

მასწავლებელთა შერჩევა და სამსახურში მიღება, რეგულირდება შემუშავებული დოკუმენტის „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: კონკურსის მიზნები და ამოცანები, კონკურსის პრინციპები, კონკურსის გამოცხადება, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების წარდგენა, კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრება. სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესები დეტალურად განსაზღვრულია შინაგანაწესით. სკოლა დასაქმებულს აცნობს შინაგანაწესს, ასევე, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, სკოლის ფოიეში, რაც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

სკოლაში მასწავლებელთა ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით, გარე ვაკანსიის შემთხვევაში, განცხადებების გამოქვეყნება ხდება pedagogi.ge/teachersjobs.ge. -ზე. სკოლას შემუშვებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი. სკოლის პერსონალის პირად საქმეში სხვა სავალდებულო დოკუმენტთან ერთად იძებნება ცნობა ,,ნასამართლეობის შესახებ“, „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **<u>პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;</u>**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან.

სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კვალიფიციური კადრის შერჩევა აკადემიური და ტექნიკური მიმართულებით. სკოლა ექიმის/ექთნის შერჩევის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. სკოლის დარაჯების, დამლაგებლის, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კორდინატორის, და სხვა თანამშრომელთა შერჩევის დროს ხელმძღვანელობს საკანონმდებლო აქტებისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ასევე სკოლას შემუშვებული აქვს სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებულია 03/10/2023, ბრძანება N 2-294). სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი ჩართულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, მინიჭებული აქვთ წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სტატუსები . ისინი ზრუნავენ საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. <u>**პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**</u>

სკოლაში შექმნილია 6 საგნობრივი კათედრა, სადაც მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა პროფესიულ საკითხს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას . აღსანიშნავია მასწავლებლების ჩართულობა უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემებში . სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობით პრინციპს, რაც აისახება კათედრის თავმჯდომარეების არჩევის წესში რომელიც მონაცვლეობითია. ყოველ ახალ სასწავლო წელს - დისციპლინური საბჭოს წევრთა არჩევა, მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტება და სამეურვეო საბჭოს არჩევა. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტიდან ვკითხულობთ, რომ ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში, აგრეთვე დასტურდება სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. **შესაბამისად ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის პრაქტიკით ჩანს, რომ სკოლა აფასებს თანამშრომელთა და მასწავლებელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს როგორიცაა ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემა, მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ. ამასთანავე, სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც მუდმივად ხდება მონაცემების განახლება, სკოლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების გაზიარება როგორც კათედრაზე , ასევე კათედრებს შორის. ერთობლივად იგეგმება გაკვეთილები. კოლეგები გაკვეთილებზე ურთიერდასწრების გზით ახდენენ გამოცდილების გაზიარებას და პოზიტიური უკუკავშირის მიცემას. მასწავლებლები ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში, სამასწავლებლოში , რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას. მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება პროექტები. **შესაბამისად ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- კონკურსის ოქმები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საშტატო განრიგი,
- ბრძანება ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის 2022 წლის 07 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი;
- თანამშრომელთათვის მასწავლებლებისათვის ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის ბრძანება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>**

სსიპ ქალაქ თბილისის 48-ე საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა . სკოლის თანამშრომლების, განსაკუთრებით, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება და მათთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკადრო მართვის სისტემაში. სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს დოკუმენტით გათალისწინებული დებულებების სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებას და გამოყენებას. სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა, დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ღონისძიები, ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები. პერსონალის შეფასება ეხმარება სკოლას ინდივიდუალურად იზრუნოს სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებაზე. მასწავლებლები სხვადასხვა სახის კონფერენციებში იღებენ მონაწილეობას, აკეთებენ ინტეგრირებულ პროექტებს, რომელშიც ჩართულები არიან სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება. ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება;

ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; ასევე, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას; მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებეთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს, პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით; სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს აკვირდება განრიგის შესაბამისად. ხარისხის ჯგუფი გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, ახორციელებს: მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შეფასებას და საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას . **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. <u>**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**</u>

სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების განმარტებით, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლით, დგინდება, რომ სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავისმხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგ კურსების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას. სკოლის დირექციის მიერ ასევე, მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაც. თანამშრომლებს მიეწოდებათ პრიორიტეტული ტრენინგებისა თუ სემინარების შესახებ ინფორმაცია. მაგ.: სკოლის ბუღალტერი ესწრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებულ ტრენინგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **<u>სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;</u>**

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლას აქვს მოწყობილი ტექნიკითა და ინტერნეტით აღთჭურვილი საზიარო სივრცე ,რომლითაც თანამშრომლები სარგებლობენ ტრენინგებზე და პროფესიულ შეხვედრებზე დასასწრებისა და სასწავლო რესურსების შექმნა გამოყენებისათვის. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **<u>სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;</u>**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი , რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე, საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ამასთან სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია შრომის პირობების დაცვის წესები. სკოლა აცნობს ახალ თანამშრომლებს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რომელიც მათ უმარტივებს სკოლისთვის შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრბეული როლი აქვს სკოლის ადმინისტრაციას, დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ახლად შემოერთებული მასწავლებლის გაცნობა თანამშრომლებისთვის ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, მოსწავლეებს აცნობს შესაბამისი კლასის დამრიგებელი, იმართება სხვადასხვა ღონისძიებები, მაგ. გასვლითი ღონისძიებები, სადაც უფრო კარგად ხდება თანამშრომელთა გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

5. **<u>წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებით . დირექცია უწყვეტად ახდენს თანამშრომლების სიახლეებით ინფორმირებას, ინიციატივების გაცნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>**

სტრატეგიული გეგმის პროექტისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა გულისხმობს სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგსა და მათ მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობას.

სკოლას ბრძანებით დაკომპლექტებული ჰყავს ხარისხის მართვის გუნდი, რომელთა საქმიანობაა მონიტორინგს ჩატარება, რეკომენდაციებსა და საჭიროებების გამოკვეთაში პედაგოგების დახმარება. სკოლა აპირებს შეიმუშაოს და დანერგოს სამომავლოდ მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფას. სკოლა ასევე ხელს უწყობს მშობელთა კომუნიკაციის გააქტიურებას, რაც აისახება სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობაში, მათი მონაწილეობით სხვადასხვა გამოკითხვებში აქტიური ჩართულობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება სკოლის განვითარებისთვის. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობასა და განათლების იმგვარად განვითარებას, რომ კურუკულუმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და მოლოდინებს; **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. <u>იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;</u>

სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია როგორც მმართველობითი, ისე დამხმარე პროცესები. სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით შექმნილი სკოლის კურიკულუმები ისგ გეგმებთან ერთად , ს.ს.გ.-ის შემადგენელი ნაწილია და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. დამხმარე პროცესების უზრუნველსაყოფად სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის სერვისების განხორციელების ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი, საქმისწარმოების წესი (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა საქმისწარმოების განხორციელება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია ინდიკატორს მიენიჭოს **სრული შესაბამისობა.**

3. <u>სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;</u>

სკოლაში არჩეულია უმაღლესი სტრუქტურული ერთეული სამეურვეო საბჭო რომელიც ამტკიცებს დისციპლინური კომისიის წევრებს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობით. აღნიშნული კომისია მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში ახდენს დისციპლინური გადაცდომების მოკვლევას და სახდელების დაკისრებას. მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია დაინტერესებულ პირს სამეურვეო საბჭოში. სკოლაში გამართულად მუშაობს გადაწყვეტილებების, გასაჩივრების მექანიზმი, რომლის შესახებაც სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია როგორც კრებების ,ისე თვალსაჩინოდ გამოკრული ინფორმაციის საშუალებით.
სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის წესი (დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2023 წლის 25 სექტემბრის N2-277 ბრძანებით) ; ნებისმიერი განცხადება/წერილი/კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია. გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია სკოლის შინგანაწესით და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა წესი, ხოლო რაც შეეხება ოქმებსა და სხვა დოკუმენტაციის გასაჩივრების წესს აღნიშნული რეგულირდება კანონმდებლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. <u>სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.</u>

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებულთა შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლას ემსახურება მანდატურის სამსახურის ორი მანდატური. სკოლა დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორად იცავს ყველას უფლებას, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მანდატურის სამსახურიც. სკოლის შინაგანაწესი და მშობლებთან ურთიერთობის დებულება საჯარო და ხელმისაწვდომია თითოეული დაინტერესებული პირისთვის და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას.
სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები.
სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაცვის თანამშრომლების მობილური ტელეფონის ნომერი და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ,,საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის წესი“;
- ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“;
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.
- საქმისწარმოების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;</u>**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი . წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. აღნიშნული წესით გარკვეულწილად რეგულირდება მშობლის ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საკითხები. ამავდროულად ინტერვიუირებისას ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარე, ამ მიზნით მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის მართვის დოკუმენტები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები, საკითხები განხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში.

მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე, კვირის ბოლოს, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

2. <u>უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.</u>

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები; სამეურვეო საბჭო; დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი; მრჩეველთა საბჭო; ი.ს.გ. ჯგუფი; მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული სტრუქტურულ ერთეულებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი). წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის უფლება. სასკოლო ცხოვრებაში კომიტეტებსა და საბჭოებში წევრობის საშუალებით უზრუნველყოფილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული 6 წევრისგან. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან .

პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს. დისციპლინურ კომიტეტი აირჩევა დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სამეურვეო საბჭოს მიერ. მის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები;
- სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები დისციპლინურ კომიტეტში კანდიდატების წარდგენაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლას შემუშვებილი და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა; საგანგებო შტაბი; მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;
სკოლის საშუალებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, ემსახურება 2 მანდატური, სკოლის დარაჯები, პირველადი დახმარების შემთხვევაში სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც შეუძლია რეაგირება. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით გამოყოფილია ოთახის სხვა სივრცისგან. ექიმი აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ- განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. <u>არ არის შემუშავებული</u> <u>შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობით.</u> სკოლა შემოსაზღვრულია ღობით, <u>თუმცა სასურველია სკოლის ღობეს ჩაუტარდეს სრული რეაბილიტაცია.</u> სკოლის ეზოში მოსწავლე მეთვალყურეობის ქვეშაა. გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 4 ვიდეო კამერა, შიდა პერიმეტრის (დერეფნებისა და საერთო სივრცეების) გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 7 ვიდეო კამერა. სკოლაში დაწესებულია მორიგეობის გრაფიკი, რომლის მეშვეობითაც დამატებით ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
სკოლაში წყალმომარაგება არის უწყვეტი. შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შემუშვებული და დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი , წესის მიზანია: ბავშვთა უფლებების დაცვა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურისა და უფლებამოსილი პირის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას.

სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ჯანმრთელობა.

ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).

დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. აგრეთვე სკოლაში წელიწადში ერთხელ ტარდება სიმულაციური განგაში და იმიტირებული ევაკუაცია გეგმის მიხედვით. **ვიზიტის პერიოდში სკოლის საევაკუაციო გასასვლელები ვერ ასრულებდა შესაბამის ფუნქციას, რადგან კიბის აღნიშნულ უჯრედებში დასაწყობებული იყო ჩამოწერილი მაკულატურა. აღნიშნული საფრთხეს შეუქმნის საგანგებო სიტუაციის შექმნის შემთხვევაში მოსწავლეთა დროულ ევაკუაციას.**

სკოლას არ აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა 28/09/2023 MES 6 23 0000125647 მიმართვა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურთან, სადაც ითხოვს: მოხდეს შესწავლა სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების კუთხით და მისი არსებობის შემთხვევაში განისაზღვროს მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. შემუშავებულია და სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებულია საგანგებო სიტუაციების მართვის პოლიტიკა, **რომელიც შესათანხმებულია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.**

სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 28.09.2023 MES 123 00001256476 გაკეთებული აქვს მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან მპომსახურების გაწევის მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის პერიოდში დარღვეული იყო შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების, მდგრადობის , საგანგებო სიტუაციების მართვის მოთხოვნები **ინდიკატორი** **არ იყო დაკმაყოფილებული.** დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილი დროში მიღწევადი, რეალისტური ვადებით. გეგმის თანახმად 2024 წლის ივნისამდე სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას. შესაბამისად **ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობების“ საფუძველზე განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლას შექმნილი აქვს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, საბჭო ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. აწარმოებს სკოლაში მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, ასევე, შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შექმნილი აქვს მასწავლებელთა მორიგეობა რომლის მიხედვითაც ყველა სართულზე და სკოლის ეზოში გადანაწილებულია მორიგე მასწავლებლები რომლებიც მანდატურებთან ერთად იცავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებას. შესვენებებზე ყველა დამრიგებელი იმყოფება თავის სადამრიგებლო კლასთან. სკოლაში ტარდება კლასსაათები, რომლებზეც ინტენსიურად განიხილება მოსწავლეთა ქცევის წესები. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლაში მოქმედებს სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მარეგულირებელი დოკუმენტი, ასევე შექმნილი და დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. რესურს ოთახში განთავსებულია მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნებულობის განცდა. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოცური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, 1 ფსიქოლოგი, 2-სპეცმასწავლებელი, 3 -ასისტენტები) რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. სკოლის მრჩეველთა საბჭო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლაში დამტკიცებულია სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი (დამტკიცებულია სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 3 ოქტომბრის N2-290 ბრძანებით). სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად დირექცია სკოლას ამარაგებს სანიტარული და ჰიგიენური საშუალებებით. ასევე განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი. ექიმი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციას ჰიგიენური და სანიტარული ნომრების დაცვის კუთხით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. სკოლაში სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი რესურსცენტრის, ქალაქის მერიის, ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ. მონიტორინგის შედეგებს სკოლა იყენებს ხარვეზის აღმოფხვრა/ პრევენციისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. <u>**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**</u>

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის -25 აპრილის N-2-52 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა და ინფორმაციულ მონაცემთა დაცვის დებულება და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები. ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში, მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. ასევე ელექტრონული ფოსტისა თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს. განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს. იმისათვის, რომ არ მოხდეს დაცულ მონაცემებთან უცხო პირთა მოხვედრა, სკოლას გამოყოფილი ჰყავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები. შემუშავებულია მათი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად; ასევე, მონაცემი მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. <u>**სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება: ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ; ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ; ინფორმაცია ვიზიტორების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა (Teams), რომელსაც ნერგავს და მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემა. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით.

სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. <u>**სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**</u>

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი შედგენილ ანაგრიშებში. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით დირექტორის ბრძანებით სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ: თამბაქოს მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი; სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ; სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექიმის ხელშეკრულება;
- სპეც-პედაგოგის ხელშეკრულება;
- წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურთან;
- ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.
- სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი „უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი „სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**</u>

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში ირიცხება 725 მოსწავლე, სწავლა მიმდინარეობს ერთცვლიან სასწავლო რეჟიმში, ამასთანავე სკოლაში დროებით განთავსებულია სსიპ ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა (მეორე ცვლაში). საერთო ჯამში მეორე ცვლაში სწავლობს N138-ე საჯარო სკოლის 570 მდე მოსწავლე. სსიპ თბილისის 48-ე საჯარო სკოლა ოთხსართულიანია და აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლის შენობა ორი კორპუსისგან შედგება. აქვს სპორტდარბაზი, რომელიც ამავდროულად სააქტო დარბაზის ფუნქციასაც ითავსებს (ერთ ნაწილში მოწყობილია სცენა), საკლასო ოთახები, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (რომელშიც ვიზიტის პერიოდში სარემონტო სამუშაობი მიმდინარეობდა), კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა (რომელშიც ვიზიტის პერიოდში განთავსებული იყო მეორე სკოლის-პირველი კლასი). ოთახები აღჭურვილია საჭირო რესურსებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავალსაჩინოებებით. სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი, რომლის საფარიც საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება , უზრუნველყოფილია დენით და ასევე ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით კერძოდ; ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. **სკოლის ინვენტარის ნაწილი , მერხები, ლაბორატორიის აღჭურვილობა მოძველებულია და საჭიროებს გაახლებას. ასევე სკოლის შენობა და გარე ფასადი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს.** 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა შეხვდა რეაბილიტირებული სველი წერტილებით, მთლიანად გამოიცვალა სკოლის სახურავი, რეაბილიტირდა პირველი, მესამე და მეოთხე სართულის დერეფნები. მთლიანობაში, სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სარეაბილიტაციოა, კერძოდ საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სპორტული დარბაზი. დარღვეულია ღობის მთლიანობა, მოსაწესრიგებელია გარე სპორტული მოედნის საფარი.

სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლამ წარმოადგინა ლიფტის უსაფრთხოების/ინსპექტირების სერტიფიკატი №TIG/S/L-0120/23 სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვილობა, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი. სპორტული დარბაზი განთავსებულია სკოლის პირველ **სართულზე. ღია სპორტული მოედნის საფარი საჭიროებს რეაბილიტაციას.** სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც სსსმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურს ოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა , საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები. პირველ სართულზეა განთავსებული ექიმის კაბინეტი. ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა. სკოლას შექმნილი აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. შენობა არის ოთხსართულიანი, შენობაში არის ლიფტი და პანდუსები (ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებისთვის), ეტლით მოსარგებლე პირები (სკოლას ჰყავს 1 შშმ მოსწავლე) შეძლებენ სკოლის შიგნით გადაადგილებას, შესაბამისად არ იზღუდება საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლე ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია სასწავლო წიგნებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, ოთხივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები, თითოეულ საპირფარეშოში 4 სველი წერტილით, 4 პირსაბანით. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით. სკოლას აქვს ადაპტირებული საპირფარეშო სსსმ მოსწავლეებისათვის, პედაგოგებისთვის. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლის მატერიალური თუ ადამიანური რესურსი ძირითადად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი (თუმცა ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში დროებით განთავსებული იყო სსიპ თბილისის 138-ე საჯარო სკოლის პირველი კლასი). სკოლას აქვს დიდი, ნათელი დერეფნები. ლაბორატორიები, სამედიცინო პუნქტი, სპორტული დარბაზი. ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. პირველ სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს ცალკე სააქტო დარბაზი, სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის გამოიყენება საკლასო ოთახები და სკოლის დერეფანი. ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს 1 შიდა და 1 გარე სპორტული მოედანი (ორივე სარეაბილიტაციო) . საკლასო სივრცეში ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, კინოჩვენებები. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული და განთავსებულია მოსაწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეებს თავი იგრძნონ ჯანსაღ გარემოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (რომელიც ვიზიტის პერიოდში იყო სარემონტო სამუშოებში), შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. **საბაზო და საშუალო საფეხურები:** საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია (რომლის სარემონტო სამუშაოებიც მიმდინარრეობდა ვიზიტის პერიოდში). სპორტის გაკვეთილებისთვის დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.
სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსების შერჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე.
სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო **<u>წესით. წიგნადი ფონდი მოძველებულია და საჭიროებს გაახლებას.</u>** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ინვენტარიზაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; პერსონალური კომპიუტერებით უზრუნველყოფილია დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლას შემუშავებული აქვს „ტექნოლოგიების განვითარების დებულება“, რასაც დაეყრდნობა შემდგომი საქმიანობისას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს 23 ლეპტოპი, 30 კომპიუტერი და 8 პროექტორი. რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. ამასთანავე, სამასწავლებლოში განთავსებულია კომპიუტერი, რომლითაც შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ მასწავლებლებმმა. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი, ასევე ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რესურსოთახში და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. მთლიანად აღჭურვილია სკოლის შენობა მუდმივი ინტერნეტით. აქვს ინტერნეტზე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი WI-FI, ასევე ადმინისტრაცია-დირექციისათვის განკუთვნილია კოდირებული WI-FI. ამგვარად, ინტერნეტი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. სკოლაში უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერები ასევე, პროექტორები რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ერთი კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 - რესურსოთხში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 კომპიუტერი განთავსებულია ექიმის ოთახში... მანდატურის ოთახში განთავსებულია 2 კომპიუტერი, ადმინისტრაციაში 3 კომპიუტერი და 3 პრინტერი. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ სასწავლო მიზნებისათვის. სკოლას , დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, , სადაც გათვალისწინებულია ციფრული რესურსების გამოყენების წესი. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი.
- მიღება-ჩაბარების აქტი.
- ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭედითა და დირექტორის ხელმოწერით, აღნიშნულით უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.
გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას ”eflow”-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და დამუშვებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციაც.
საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ვინაიდან სკოლის ბიუჯეტი არასაკმარისია, სკოლას არ აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არქივისთვის გადაცემული დოკუმენტაცია და თავად უზრუნველყოფს გასული წლების დოკუმენტაციის შენახვას სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **<u>სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;</u>**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სრულფასოვან მუშაობას. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი, ასევე ელექტრონული ფოსტა: tbilisi48@mes.gov.ge .სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით eSchool.emis.ge, რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ TEAMS პროგრამას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

<u>3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;</u>

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის ბაზაში სკოლის პროფილი, რომლის ყველა ველი შევსებული იყო სრულყოფილად.

სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ა)მოსწავლის ჩარიცხვა/გარიცხვა/ამორიცხვა; ბ) მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; გ) მოსწავლის მიერ კლასის/სემესტრის დაძლევა; დ) მოსწავლის მობილობა; ე) საგაკვეთილო ცხრილის შექმნა, მათ შორის არჩევითი საგნის დამატება; ვ) მასწავლებლებისთვის საგნების განაწილება; ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული აქტივობები; თ) მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული სტატუსების ასახვა; ი)დაწესებულებების მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების არჩევა; კ) ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამოცდების შედეგების ასახვა; ლ) იმ პირების შესახებ ინფორმაციის/მონაცემის ასახვა, რომელთაც მოიპოვეს საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის მიღების უფლება; მ) წარჩინებულ მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის/მონაცემის ასახვა; ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით (ბრძანება N 2-52, 25/04/202) განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი . ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია სახელმწიფო უწყებებთან. აღნიშნული კომინიკაცია ხორციელდება როგორც Eflow-ის და Eschool-ის, ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია რაიონულ რესურსცენტრთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა თუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 იანვრის №75599 ბრძანებით, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულებისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №365 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენის ვადებს და წარდგენისას - ინფორმაციას მოთხოვნილი თანდართული ცხრილების შესახებ.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლის შესაბამისად, სკოლა წარადგენს ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს წარედგინება დირექტორის ანგარიში სკოლის ტერიტორიაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' 34-ე მუხლის თანახმად, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომელსაც არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **ინდიკატორი** დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- გატარების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.
- სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი „სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**</u>

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების, საშუალებით. მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. სკოლა ნებისმიერ სიახლეს პედაგოგებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკრება თვალსაჩინო ადგილას.
საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (დამტკიცებული 16/02/20, ბრძანება N 2 09), სადაც გაწერილია მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი, რომელსაც დაეყრდნობა სკოლა სამომავლო საქმიანობებში. კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ სადამრიგებლო კლასებთან ურთიერთობისათვის მესენჯერ-ჯგუფები, ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams საკლასო ჯგუფები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს უზრუნველყოფილი აქვთ ურთიერთობები საჭიროებისამებრ. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლაში მიმდინარეობდა ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge სავალდებულო ინფორმაციის შეტანა, გამოყოფილი იყო ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა იციან, თუ როგორ უნდა მოიპოვონ და გაავრცელონ სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ამ მიზნით მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი კიბერუსაფრთხოების შესახებ. სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლის განმარტებით, სოციალური ქსელის ადმინისტრატორი პირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას. ისეთ საკითხებზე, რომელიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რეაგირებას, უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან შემოსული ინფორმაციის დირექციისთვის გადაცემას. სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სადაც ჩანს , თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

პირველადი დათვალიერებისას სკოლას არ აღმოაჩნდა მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდებოდა პირებს შორის პირისპირ და წერილობითი კომუნიკაციის, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, სკოლის სოციალურ ქსელში (Facebook) და teams- ის მიზნობრივ ჯგუფებში გამოქვეყნებით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დაიწყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ვებ-გვერდის skolebi.emis.ge შექმნა/სრულყოფის პროცესი, განთავსდა ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია, შესაბამისად ინდიკატორი არ იყო დამაკმაყოფილებელი. **დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-372 ვებ გვერდის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ, ასევე ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა, გაწერილი დროში მიღწევადი, რეალისტური ვადებით. გეგმის შესაბამისად : სკოლა 2023 წლის 30 ნოემბრამდე ვებ-გვერდზე განათავსებს სტანდარტით განსაზღვრულ ინფორმაციას. შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლა კალენდარული წლის ბოლომდე ახდენს სკოლის ბიუჯეტის წარდგენას სამეურვეო საბჭოსათვის . ბიუჯეტი აგებულია სკოლს სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მთელი წლის მანძილზე ბიუჯეტის მიხედვით ხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლა ფინანსურად მდგრადია. შეუძლია ბიუჯეტით ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, განისაზღვრება პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები. სკოლას იჯარით გაცემული აქვს ფართები: ოთახები, სპორტული დარბაზი ფრენბურთის წრისთვის, ცეკვის წრისთვის, ხატვის წრისთვის, მათემატიკის წრისთვის და სკოლის ბუფეტისთვის. სკოლა საკუთარი სახსრებით ფარავს კომუნალური გადასახადების ხარჯებს, სხვადასხვა ინვენტარის შეძენას თუ მცირე სარემონტო სამუშაოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა - საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას უზრუნველყოს სკოლამ კომუნალური გადასახადები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, საკანცელარიო ნივთები, საგნობრივი კათედრების მიარ მოთხოვნილი სასწავლო რესუსები და სხვა, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებელად წარიმართოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.</u>

ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპით. ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. ასევე, ყოველი თვის ბოლოს კეთდება საკასო ხარჯი ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები.

სკოლას სახელმწიფოსგან ერიცხება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის შესაბამისი ოდენობის თანხა, რომელიც მიმართულია სასკოლო სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, როგორიცაა სასწავლო რესურსების, მასალების შეძენა გადაცემა პედაგოგებისთვის, ასევე სკოლის ადმინისტრაციისთვის სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის. ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად სკოლა ნოემბრის თვეში ამტკიცებს მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას , რომელის ცვლილებაც შესაძლებელია მოხდეს გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე. აწარმოებს ბაზრის კვლევებს შესასყიდი საქონლის ფასების დადგენის მიზნით და დებს ხელშეკრულებებს რომელიც მომდევნო წლის 30 იანვრამდე იტვირთება შესყიდვების სამსახურის გვერდზე. საბოლოოდ ყოველწლიურად სკოლა 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს შესაბამის ოქმში. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. სამეურვეო საბჭოში, არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და მათი ინტერესებისა თუ აზრების გათვალისწინებით ხდება ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტი, პერიოდულად საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას, რაც განპირობებულია სკოლის ინტერესებიდან. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრნულ ბაზაში EPLAN ასახვა. ამასთანავე, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. **ინდიკატორი ფასდება დამაკმაყოფილებლად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- საპროგნოზო ბიუჯეტი.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- შესყიდვების კორდინატორის დამტკიცების ბრძანება;
- ბრძანება შესყიდვის შიდა წესის დამტკიცების შესახებ;
- იჯარის ხელშეკრულება;
- ფინანსური ინვენტარიზაციის ბრძანება;
- მატერიალური ინვენტარიზაციის ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ <u>შეესაბამება</u>

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;</u>**

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს და განსაზღვრავს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს. დოკუმენტში კონცეპტუალიზებულია როგორც მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ისე მათი მხრიდან დარღვევების ჩადენის შემთხვევაში მოქმედი დეტალური პროცედურები. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ დისციპლინური დევნა ხორციელდება მხოლოდ შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მსგავსი დევნის შემთხვევაში, სკოლას ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ მოსწავლეს განემარტოს მის მიერ ჩადენილი გადაცდომის არსი და ხაზგასმულია, რომ მსგავსი დევნა ხორციელდება მხოლოდ სასკოლო დროს/სივრცეში ჩადენილი ქმედებების მიმართ (გარდა იმ ქმედებისა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს სკოლის ან/და მოსწავლის ინტერესებს). ამასთან, შინაგანაწესის მე-16 მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. ამასთან, შინაგანაწესით განმარტებულია დისკრიმინაციის სახეები (როგორც ირიბი, ისე პირდაპირი) და მათგან დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესი თანაბრად არეგულირებს როგორც მოსწავლის/მოსწავლეების მხრიდან სხვა მოსწავლის/მოსწავლეების მიმართ ჩადენილ უფლებების დარღვევის შემთხვევებს, ისე სკოლის თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინააღმდეგ განხორციელებულ შესაძლო უფლების დარღვევას. მსგავსი შემთხვევების დროს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოება და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. სკოლაში არსებობს გასაჩივრების პროცედურები, წესები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ განსაზღვრავს სკოლაში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის გარემოებებს,ხოლო მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზებას ახორციელებს სკოლაში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

სკოლაში მოხმედებს მოსწავლეების წახალისების ფორმები და გამოყენების წესები. წახალისების შემდეგი ფორმებად ვხვდებით ა) მადლობის გამოცხადება; ბ)სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. მოსწავლეთა უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელითაც გარანტირებულია მოსწავლის რიგი უფლებები, მათ შორის, პერსონალური მონაცემების გამოყენების პირობები, დასვენების და სასწავლო დრო, უქმე დღეები, დავის გადაყვეტის და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია და სხვ.
<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

2. <u>მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;</u>

სკოლის მხრიდან მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭირვალობისა და გაზიარების მექანიზმები განსაზღვრულა როგორც შინაგანაწესში, ისე სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სხვა დოკუმენტებში. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ამასთან, *„შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანებს 14 კალენდარული დღისა“.* ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მშობელთა კრებებზე გარდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების თუ საკლასო პრაქტიკების განხილვისა, მშობლებთან პერიოდულად განიხილავენ სხვადასხვა რეგულაციებს. კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი (შინაგანაწესი) განთავსებულია სკოლის ძირითად ფლიგელში, პირველ სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, რაც ხელს უწყობს მის ხელმისაწვდომობასა და დაინტერესებული პირის/პირების მხრიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისი გაცნობის შესაძლებლობას. ამასთან, მოსწავლეთა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში წარმოდგენილი მოსწავლეების არსებობა (თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის არის სამეურვეო საბჭოს სრულუფლებიანი წევრი და დისციპლინურ კომიტეტში წარმოდგენილი მოსწავლეები) ხელს უწყობს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას (ამ შემთხვევაში, მოსწავლეებში). სკოლის ვებ-გვერდი არსებობს და ფორმირების პროცესშია, სადაც უკვე განთავსებულია რიგი მარეგულირებელი აქტები და ინფორმაციები, მათ შორის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლის მხრიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6[1] პუნქტის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ყოველწლიურად ფორმდება ხელშეკრულება. სკოლის მხრიდან წინასწარ წარმოდგენილ ხელშეკრულებების ნიმუშებში და ასევე, საავტორიზაციო ვიზიტზე ექსპერტების მხრიდან გაცნობილ ნიმუშებში ჩანს, რომ დეტალურადაა გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა და ზოგადი ქცევის წესი/წესები. ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას მოსწავლე/მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს ხელმოწერით, ხოლო ხელშეკრულების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე კი ინახება სკოლაში, პასუხისმგებელი პირის მიერ. თუმცა, **საავტორიზაციო ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შესწავლილ ხელშეკრულებებში გამოიკვეთა, რომ შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ტექნიკური ხასიათის შეცდომები, (არასწორად მითითებული კლასი) რის შესახებაც სკოლას მიეცა რჩევა სამომავლოდ გამოსწორების მიმართულებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შინაგანაწესი;
- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;</u>**

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ *„სადამრიგებლო პროგრამაში“* განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, მათ შორის დამრიგებლის მხრიდან დაინტერესებული პირებისთვის რიგი ინფორმაციის მიწოდება (როგორ ინტერვიურებისას დადგინდა, მშობელთა კრების ფორმატში დამრიგებლები მშობლებს ინფორმაციას აწვდიან მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების, მობილობის და საფეხურის დაძლევის პროცედურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ). ამასთან, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამის ვადებში. პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პირველკლასელთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია შესაბამის პერიოდში განთავსებულია ხოლმე სკოლის შენობის ფლიგელში, მატერიალური განცხადებების სახით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზეც. ზემოხსენებული *„სადამრიგებლო პროგრამის“* მიხედვით დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლეთა მონაცემთა ბაზის დაზუსტებაც. სკოლის წარმომადგენლებთა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გაცდენების გამო სტატუსის შეჩერების პრევენციის მიმართულებით დამრიგებლები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ამასთან, სკოლაში არსებობს დირექტორის მიერ შექმნილი ისგ ჯგუფები.

<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

2. <u>სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;</u>

სკოლაში არსებული პრაქტიკა, სკოლის დაცული მონაცემები და მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლაში გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები. სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს სკოლის მხრიდან ქმედებების კანონმდებლობასთან შესაბამისობას. მშობელთა განცხადებები, სტატუსის შეჩერების ბრძანება, ჩარიცხვის ბრძანებები, საფეხურის დაძლევის შესახებ პედსაბჭოს ოქმები, პირველ კლასში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ბრძანება სტატუსის დაძლევის შესახებ, მოსწავლეების პედაგოგიურ საბჭოს შესაბამისი ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიემართება 4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნებს. მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობა ხორციელდება ბრძანება N04/ნ-ის შესაბამისად, ხოლო ესგ-ის 35-ე მუხლის მიხედვით წარიმართება კლასისა და საფეხურის დაძლევის ქმედებები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მიერ იჯარით გაცემული სივრცეები გაფორმებულია ხელშეკრულებით, სადაც განსაზღვრულია მომხასურეების სახეები, პირობები და სხვა დეტალები. სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი (ბუფეტი), რომელიც არის უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების სტანდარტებით მოწყობილი. სკოლაში არსებობს სხვადასხვა ფასიანი წრეები, რომელთა შესახებ ინფორმაციას სკოლა ავრცელებს სხვადასხვა გზით. ამ ეტაპზე სკოლის ვებ-გვერდი დაუსრულებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება სხვა გზებით, მაგ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული საინფორმაციო მასალებით თუ სხვ. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ დამატებით მომსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები თუ საკლუბო საქმიანობა. წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.
აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი შეგვიძლია მივიჩნიოთ შესრულებულად.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებლებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რასაც თავის მხრივ, მასწავლებლები მოსწავლეებს უზიარებენ. ამასთან განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია მუდმივად თავსდება სკოლის Facebook გვერდზე, ნაწილის შესახებ ინფორმაცია კი განთავსებულია მატერიალურადაც, სკოლის შიდა სივრცეებში. ამდენად, ინდიკატორის შესაბამისი ინფორმაცია სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და ღია. სკოლა გეგმავს მსგავსი ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზეც, რომელიც უკვე ფუნქციონირებს, რაც გაზრდის ინფორმაციის გაზიარებისა და გამჭირვალობის დონეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის Facebook გვერდი;
- გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
- სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>**

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კლასის დამრიგებელი. ინტერვიუს პროცესში კი სკოლის წარმომადგენლები აღწერდნენ უშუალოდ პროცესს და კონკრეტულ მაგალითებს, რომელიც პრაქტიკაში მოსწავლის ადაპტაციის პროცესს ასახავდა. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის ფუნქციების შესაბამისად სკოლაში ჩარიცხული ახალი მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს შესაბამის ინტერვენციებს, რაც მოიცავს მოსწავლის პირადი საქმის/საქმეების დეტალურ შესწავლას, მოსწავლის აკადემიური მიღწევების, პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შესწავლას და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სკოლა და მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული აქტიურად მუშაობს ბულინგის პრევენციის მიმართულებით, რაც ასევე შეგვიძლია სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელმშემწყობ ერთ-ერთ ნაბიჯად მივიჩნიოთ. დამოუკიდებლად შეგვიძლია ვახსენოთ სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი, რომელშიც დამრიგებლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართულები სპეციალური მასწავლებლები, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ასისტენტები.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **<u>სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;</u>**

ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშესაწყობად სკოლა აქტიურად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომელიც არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა. ამასთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ *„ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.“* ამასთან, სკოლა მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლის ან პირველ კლასში ჩარიცხვის დროს მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. კლასის დამრიგებელი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ.
<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

3. <u>მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;</u>

მოსწავლეს სკოლა დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიმართულებით. სკოლის მიერ შემუშავებულ და შემდგომ პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე განხილულ სასკოლო სასწავლო გეგმაში წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქმნის სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფს და შესაბამის ინდ. გეგმებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით *„თუ საგაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე“.* ამასთან, სსიპ ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა; ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; გ) საშემოდგომო გამოცდა; დ) ექსტერნატის გამოცდა. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება აკადემიური მიღწევების, ჩამორჩენის, გამოწვევების თუ სხვადასხვა დიგანოსტიკური შეფასებების შედეგების შესახებ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებს 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში ენიშნებათ ექსტერნატის გამოცდა. მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის, კლასის დამრიგებლები მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს წინასწარ აცნობენ, თუ გაცდენების რაოდენობა დაშვებულზე მეტ ნიშნულს უახლოვდება. ამასთან, ექსტერნატის ან/და საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, რომლის დეტალური პროცედურები და ასევე, მხარდამჭერი მექანიზმები სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაშია გაწერილი, მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია, როგორც შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, ისე ვადების შესახებ. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლების უფლება, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. ამისთვის სკოლას უნდა ჰქონდეს საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ეფექტიანი საშუალება. სკოლაში არსებობს გასაჩივრების მექანიზმები, საჩივრების განმხილველი ორგანოს წევრები არიან სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სკოლის დისციპლინური კომიტეტი. ამასთან. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეების ყოფნა მათი უფლებების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლა ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტებსა და აქტივობებში, რითაც კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ თანამონაწილეობითი პრინციპით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგეგმება მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები. მსგავსი ტიპის ღონისძიებები/აქტივობები ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. მაგ. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს დადგენილს საერთო ზოგადსაგანმანათლებლო რეგულაციას თუ სხვ. პროექტების და არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში დანერგილია სხვადასხვა ტიპის, ფორმისა და მასშტაბის პროექტი:

არაფორმალური განათლების მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ კათედრას წარმოადგენს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა. ბოლო სასწავლო წელს კათედრის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა რიგი აქტივობები, მათ შორისაა "სამეცნიერო წრის" ჩამოყალიბება 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისში, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეები, ხოლო წრის მიზანი იყო მოსწავლეებს მიეღოთ გამოცდილება პრაქტიკული სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებაში. ასევე მოიაზრებოდა საოლიმპიადო და ეროვნული გამოცდების ამოცანებისა და საკითხების განხილვა. ამასთან, სამეცნიერო წრის მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელდა პროექტი "ეკომეგობრული წებოს დამზადება და მისი სიმტკიცის განსაზღვრა" და "როგორ დავადგინოთ ყოველდღიურად გამოყენებული სითეების PH". 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელდა აქტივობა "ხახუნის კოეფიციენტის ექსპერიმენტულად განსაზღვრა დახრილი სიბრტყის გამოყენებით" და "ვერსორიუმის დამზადება და დაკვირვება ელექტროსტატიკურ ველზე". ამავე კათედრის მიერ განხორციელდა პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი ბედნიერი მომავლისთვის". პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ინტერვენციები ,,ალკოჰოლის ზეგავლენა თავის ტვინის ფუნქციონირებაზე. ელექტრონული საინფორმაციო ჟურნალის შექმნა, მე-11კლ, საგანი-ბიოლოგია "მშვენიერია იყო ჯანმრთელი!" მინი პროექტი, საკვებისა და ფიზიკური აქტივობების კალორაჟის დათვლა და შერჩევა, მე-8კლ, საგანი-ფიზიკა ,,შიდსი-მე 20 საუკუნის შავი ჭირი" შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პრეზენტაციების მომზადება და სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა, მე-11კლ, ბიოლოგია ,,გაჯეტებზე დამოკიდებულების გავლენა ადამიანის ფსიქოსოციალურ განვითარებაზე." ლექცია-დისკუსია, პრეზენტაცია , საშუალო საფეხური, ბიოლოგია ,,თამბაქოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე". მინი პროექტი, კედლის გაზეთის მომზადება, მე-7 კლ, ნინო მიროტაძე ,,სასმელები და კბილის მინანქრის ეროზია´ - სტენდური მოხსენება, ვიზიტი თავისუფალ უნივერსიტეტში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს (2023-2024 წწ.) ხორციელდება პროექტი "წიგნიერება - გზა წარმატებისკენ!". პროექტის მიზანია მოსწავლეთა წიგნიერების უნარის განვითარების ხელშეწყობა და მიღწევების გაუმჯობესება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. გარდა ამისა, ახალი სკოლის მოდელის დანერგვის პროცესში, სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი - "ჯანსაღი ცხოვრების წესი ბედნიერი მომავლისთვის", რომელშიც ჩართულები იყვნენ სამივე საფეხურის მასწავლებლები. პროექტის ერთ-ერთ ღირებულებას წარმოადგენდა ისიც, რომ მის ბენეფიციარებს უშუალოდ მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარდა წარმოადგენდნენ მშობლები და თემი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, სკოლა აქტიურად გეგმავს ღონისძიებებს სხვადასხვა საერთაშორისო თარიღების აღნიშვნის მიმართულებით - განახორციელეს 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, უკრაინელი ბავშვების მხარდამჭერი ღონისძიება და აქტიურად აწყობენ გასვლით ღონისძიებებს, რომლის მტკიცებულებების სახით ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მოსწავლეების ეთნოგრაფიულ მუზეუმში, აგრარულ უნივერსიტეტში კონფერენციაზე ვიზიტს და სხვ.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომ სკოლა დადგენილი წესებითა და ჩართულობის პრინციპების დაცვით უზრუნველყოფს დამატებითი აქტივობებისა და არაფორმალური განათლების გაძლიერებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

6. **<u>მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.</u>**

სკოლის ადმინისტრაციასთან, კათედრის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან შეხვედრებისას დადგინდა, რომ სკოლა ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. მიმდინარე ეტაპზე, სკოლა იღებს ზეპირ უკუკავშირებს მოსწავლეებისგან და მოსწავლეთა თვითმმართველობისგან თუმცა აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია ამ პროცესს მისცეს სისტემატიზებული სახე. სკოლა გეგმავს მომავალში მეტად სტრუქტურიზებული სახე მისცეს ინფორმაციის მოპოვებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმებს, რისთვისაც გეგმავენ შექმნან შესაბამისი ინსტრუმენტების (კითვარების, გამოკითხვების, წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირის მიღების ფორმატები) შექმნას. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები გარკვეულ დონეზე მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ელემენტებს, რაც ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ უკუკავშირის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის შედეგად მომსახურების სამომავლო გაუმჯობესების წინაპირობად.
<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ანგარიში (2023-2024 სასწ. წ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებები;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები/ოქმები;
- განხორციელებული პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;</u>

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ფორმატში მიმდინარეობს თანამშრომლობა ისეთ გარე აქტორებთან, როგორიცაა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესიული სასწავლებელი, მუზეუმები თუ საგამოფენო/სახელოვნებო ცენტრები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან და ასევე ვიზიტისას შესწავლილი გარემოებებიდან ჩანს, რომ სკოლა გახსნილი და ღიაა მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. საავტორიზაციო ვიზიტამდე სკოლას განხორციელებული ჰქონდა პროფესიული ხასიათის ვიზიტი აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონფერენციაზე საკუთარი კვლევის შედეგების მოხსენებით წარსდგნენ. ამასთან, სკოლაში არსებობს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ევროპის უნივერისტეტსა და თბილისის N48 საჯარო სკოლას შორის. გარდა ამისა, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მტკიცებულებებში გამჭოლად იგულისხმება პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ელემენტები.

ინდიკატორი შესაძლებელია მივიჩნიოთ დაკმაყოფილებულად.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და არაფორმალურ მუშაობას. პერიოდულად აწვდის ინფორმაციას კარიერული დაგეგმვისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლის სივრცეებში განთავსებულია სხვადასხვა საინფორმაციო პლაკატი/ბროშურა, რომელშიც იკითხება სხვადასხვა პროფესიული თუ კარიერული შეთავაზებები.

ინდიკატორი შესაძლებელია მივიჩნიოთ შესრულებულად.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

საავტორიზაციო ვიზიტისას, სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობს მოსწავლეთა კარიერული და პროფესიული დაგეგმვის მიმართულებით შეისწავლოს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები. ერთი მხრივ, სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული მექანიზმი ან მეთოდოლოგია, როგორ აპირებს გაწეული მომსახურების შეფასებას, მეორე მხრივ კი შეხვედრებზე სახელდებოდა სამომავლო გეგმები იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლა გეგმავს გამოიყენოს კითხვარები თუ სხვა ინსტრუმენტები. აღნიშნული გარემოებებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, **ინდიკატორი შესაძლებელია შესრულებულად მივიჩნიოთ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- გაფორმებული მემორანდუმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**</u>

სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები; ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, სწავლის დაწყებამდე, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება ხდება მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლის მხრიდან მულტიგუნდისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით; სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მშობლის/მეურვისა და მასწავლებლის/მასწავლებლების მომართვის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებლები ახდენენ პოტენციური სსსმ მოსწავლის შეფასებას, გაიწერება პირველადი მართვის გეგმა 1 თვის ვადით და იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ინტერვენცია არ იძლევა მოსწავლის სასწავლო შედეგების დამაკმაყოფილებლად ზრდის საშუალებას, სკოლა, მშობლის თანხმობით, მიმართავს მულტიგუნდს მოსწავლისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრის მიზნით სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა, - თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია.

ერთი მხრივ, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, მეორე მხრივ კი მასწავლებლებთან, სპეც. მასწავლებლებთან და სხვა აქტორებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელს, დამრიგებელს, ფსიქოლოგს ან სპეც. მასწავლებელს ექნება გონივრული ვარაუდი, რომ მოსწავლეს აქვს სწავლის პროცესში სიძნელეები და საჭიროებს ესგ-ს მოდიფიცირებას ან სხვა ინტერვენციას, ის ვალდებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირს/პირებს (სკოლის დირექცია, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/ები) მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია. თავის მხრივ, სკოლის დირექცია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს აწვდის შესაბამის ინფორმაციას და ორგანიზებას უწევს შემდგომ შეხვედრებს. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელს აქვს უფლება სკოლას მიმართოს და გამოხატოს თანხმობა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასთან დაკავშირებით. ნებისმიერი სსსმ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია დაცულია და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული მოსწავლის ისგ ჯგუფში შემავალ წევრებს, მშობელს მასწავლებელს/მასწავლებელებს და სასწავლო პროცესში ჩართულ ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტებს (ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, ინდივიდუალური ასისტენტი, მათი არსებობის შემთხვევაში.) პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, როდესაც ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება, ან განხილვა მოსწავლეების მოხსენიება ხდება მათი ინიციალების მიხედვით.სკოლაში ყოველწლიურად ხორციელდება შიდა მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფს ადგენს სკოლის დირექტორი და შედგება სკოლის თანამშრომლებისგან, რომლებსაც არ აქვთ სსსმ მოსწავლეებთან შემხებლობა . 5 წევრისგან შემდგარი შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხდება: ისგ ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების შეფასება, სკოლის ინკლუზიური განათლების კულტურის შეფასება, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შეფასება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში; ადმინისტრაციის ჩართულობის შეფასება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. <u>სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.</u>

სკოლაში არსებობს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სხვადასხვა რესურსითა და ავეჯით. ასევე აქვთ რესურსოთახის გამოყენებით გრაფიკი. სპეციალური მასწავლებლებლები და საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება საგნის მასწავლებლს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ნებისმიერი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებთან ერთად ასევე ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში. სკოლაში შესაბამისი ხელშეკრულებით დასაქმებულები არიან სპეციალური მასწავლებლები. ისგ ჯგუფის მუშაობაში თანაბრად არიან ჩართულები მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხდება სსსმ მოსწვალეების მიღწევების სისტემატური მონიტორინგი. სკოლაში განხორციელებულ არაფორმალური განათლების პროექტებსა და ღონისძიებებში ხშირად ერთვებიან სსსმ მოსწავლეები.
<u>ინდიკატორი შესაბამისობაშია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა/დასკვნები;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ ბრძანება;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/გეგმები;
- სპეციალურ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვენციის გეგმა;
- რესურს ოთახი და არსებული შესაბამისი რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</u>**

სკოლაში არსებობს არასავალადებულო ხასიათის მომხასურეობა, როგორიცაა სკოლაში არსებული კვების ობიექტი, რომელიც გაიჯარებულია კანონდმებულობის მოთხოვნების სრული დაცვით, ასევე სკოლის მოსწავლეების სარგებლობენ ტრასპორტირების პროგრამით. სკოლაში არსებობს გახანგრძლივებული წრე, კალათბურთის წრე, ხალხური ცეკვებისა და სიმღერის წრე, ასევე ხალხური საკრავების წრე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შეთანხმება შესრულებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების გზით. **<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. <u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;</u>

მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობები, როგორიცაა კლუბების, პროექტების თუ წრეების და ორგანიზება ხორციელდება მოსწავლეები ინტერესებისა და უკუკავშირის საფუძველზე. მოსწავლეთა ინტერესების უფრო მეტად გათვალისწინების მიზნით სკოლა გეგმავს გამოიყენოს გამოკითხვის მეთოდები და მიღებული შედეგები მიმართოს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დასაგეგმად. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია</u>

3. <u>შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.</u>

სსიპ ქალაქ თბილისის N48 საჯარო სკოლაში თითოეული მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვლითა და ამავდროულად სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მხარეთა შორის არსებული შეთანხმებებით გარანტირებული და დაცულია სკოლისა და მოსწავლის ინტერესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულებები
- გახანგრძლივებული ჯგუფების ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ <u>შეესაბამება</u>

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. <u>კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას</u>

სასკოლო კურიკულუმი მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. აქედან გამომდინარე კურიკულუმის მეთოდოლოგია იმთავითვე განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება კათედრების მიერ სასწავლო წლის დასრულებისას, რის შემდეგაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების პირობებს, შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს. კურიკულუმების შემუშავებისას კათედრა ხელმძღვანელობდა საგნობრივი ექსპერტების მიერ შეთავაზებული მასალებით და კომპლექსური დავალებების ბანკით. სასურველია კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების გზა და დაზუსტდეს კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად სასკოლო საზოგადოების ინტერესისს გათვალისწინებით იგეგმება როგორც პროექტები, ასევე დამატებითი მომსახურება. მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა კათედრათაშორისო თანამშრომლობა. სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო პროექტის და დამატებითი მომსახურების დაგეგმვის დროს. მაგალითად კლუბური მუშაობის, წრეების ფუნქციონირების დროს. მაგალითად: წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით პირველ კლასში მოსწავლეთა მშობლებმა დამრიგებელთან თანამშრომლობით, მოსწავლეებს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წაუკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხული წიგნების შესახებ და დახატეს პერსონაჟები. მშობლები აქტიური მონაწილეები არიან კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში როგორც მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებები მათი გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შეიმუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი წარედგინება პედაგოგიიურ საბჭოს და შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს. რაც ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მშობლების ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორიასთან. შემუშავებული კურიკულუმები უზიარდება საგნობრივ კათედრებზე, ფორმდება კათედრის ოქმის საშუალებით, შემდეგ ეტაპზე უზიარდება დირექციასა და მშობლებს. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიას წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. მასწავლებლების ინტერვიუების დროს აღწერდნენ, თუ როგორ ხდება მშობლის ინფორმირება და მათი ჩართულიბა სასწავლო პროცესში. შეიმჩნევა დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენლი კათედრის ოქმი ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. სკოლაში ვებ-გვერდი დახვეწის რეჟიმშია, ინტერვიუების დროს სკოლის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ გეგმავენ ვებ-გვერდზე კურიკულუმების შესახებ ინფორმაციების ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- კათედრის თავმჯდომარეის ანგარიშები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება მისი სასურველი ფორმით წარმოადგინოს შესრულებული დავალება. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

- **სახელმწიფო ენა**

კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ დავალებებსა (მე-5 მე-6 კლასი) და საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნახატებით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში გაწერილი კომპონენტები ძირითადად პასუხობს სტანდარტების მოთხოვნას. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი ემსახურება ე.ს.გ მოთხოვნების რელიზებას, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილი უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები ორივე საგანში და კომპლექსური დავალებების ბარათებში ასახულია ე.ს.გ მიხედვით გათვალისიწნებული სავალდებულო თემები. ასევე გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რაც ეფუძნება სწვლა-სწავლების პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის მოტივაციის ზრდას და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვიოთარებას.

- **სპორტი**

შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. დაწყებით საფეხურზე უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელთა მოთხოვნებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, მის შემოქმედებით მუშაობას. პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, კომპლექსური დავალებისა თუ სასკოლო პროექტის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, შერჩეული სასწავლო თემებისა და საკითხების აქტუალობას, რაც მათივე აზრით, აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ მოსწავლე აქტიურ როლს ასრულებდეს სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლა მუშაობს მეთოდოლოგიის შემუშავება - დახვეწის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა, ისაუბრეს თუ როგორ ქმნიან კურიკულუმს, და რომ ამ პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებებს და ინტერესებს.

- **ტექნოლოგიები**

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივი კურიკულუმი ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მკაფიოდ აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლის როლი და მთელი სასწავლო პროცესი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- **მათემატიკა**

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. აღსანიშნავია, მასწავლებელთა სურვილი და მონდომება გაერკვნენ და უფრო თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის დავალება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- **სახელმწიფო ენა**

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები შეეხნენ კომპლექსური დავალების იდეების კავშირს გლობალურ-ფუნქციურ უნარებთან, მაკროცნებებსა და სამიზნე ცნებებთან, რომ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გსაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

შემოქმედებითობა - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

კრიტიკული აზროვნება -მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

კომუნიკაცია - მოიაზრებს ინფორმაციის ნათლად და შნაარსიანად გამოხატვას, მეტყველების ტიპის შერჩევას, აღწერას, მსჯელობას, კონტექსტუალიზებას და გამოხატვის რელევანტური საშუალების შერჩევას (ვერბალური/არა ვერბალური). წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლაბორაცია - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.

მოქალაქეობა - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.

ხასიათი/ნებელობა - ხასიათი და ნებელობა მოიაზრებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვას, დაგეგმვას, თვით ეფექტურობის განცდას, სწავლის სტრატეგიებს, მონიტორინგსა და შეფასებას. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) შესაბამისობაშია სტანდარტთან. თემები ძირითადად შეესაბამება თემატურ ბლოკებს, კომპლექსური დავალების პირობები, კი შეესაბამენა ცნებებსა და ქვეცნებებს. თუმცა გვაქვს შემთხვევები, სადაც გაგვიჩნდა კითხვები. მაგალითად: მე- 3 კლასის ხელოვნების კურიკულუმში თემატურ ბლოკს - საზოგადოება და ხელოვნება რატომ შეესაბამება თემა საოცნებო პარკი? უმჯობესია ეს თემა იყოს გარემო და ხელოვნებაში. ასევე მე-4 კლასის კურიკულუმში შეხდომითაა ერთი სავალდებულო თემატური ბლოკი. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების როლს ფუნქციური უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარების გამომუშავებას. კომპლექსური დავალება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფუნქციური უნარების აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღწერა სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.). მიუხედავად ზემოთ ღნიშნული ხარვეზებისა შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაწყებით საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.

- **ტექნოლოგიები**

❖ ტექნოლოგიები-საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, შემოქმედებითობის, ხასიათის ნებელობის, მოქალაქეობის უნარ-ჩვევების განვითარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- **მათემატიკა**

დაწყებით საფეხურზე სკოლას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესში მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. მასალებში წარმოდგენილა მე-3 კლასის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კომპლექსური დავალებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებლები ეყრდნობიან მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნას. როგორც აღნიშნეს, სსსმ მოსწავლისათვის ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკა. ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მის პროგრესს. ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში, მასწავლებლებთან საუბარში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში- კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით- კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს-ინკლუზიურობას, რომლის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს . დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი , პოსტერი, ნახატი და ა.შ.) სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტიურ დონეს და გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. სასწავლო გეგმები მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ. პირველი კლასებისთვის მტკიცდება 1 თვის ვადაში. წლის განმავლობაში იმართება მინიმუმ ოთხი ისგ ჯგუფის შეხვედრა და დგება შეხვედრის შესაბამის ოქმები. ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი და წლის ბოლოს ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართული სპეციალისტი წარადგენს წლიურ ანგარიშს. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები- გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში შქმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათლებას, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). ინდიკატორი შესაბამისაობაშია.

- **სპორტი**

ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), თუმცა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკუმებში განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტრიები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა) მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას. კოპლექსური დავალებების შესრულების დროს მოსწავლეებს აძლევენ თავისუფალი არჩევანის უფლებას, თავად შეარჩიონ მათთვის ხელმისაწვდომი და სასურველი მასალა სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად. მაგ.: მულაჟების და დიორამების დამზადებისას მოსწავლეებმა გამოიყენეს სხვადასხვა მასალები (პლასტელინი, თიხა, ფერადი ფურცლები და მეორადი გამოყენების მასალები) . ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ახდენენ დავალების ადაპტაციას სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის. სკოლაში არის სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების რეგულაცია. მასწავლებლები ხელმძღვანელობენ ინდ. სასწავლო გეგმებით სსსმ მოსწავლეებთან. სასწავლო პროცესის წარმართვა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით თავისთავად აისახება კომპლექსური დავალებებით სწავლებაში, თუმცა სკოლას აქვს გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან, საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია ასაკობრივი ზღვარი, რაც აღნიშნული მიმართულების დაკონკრეტების შესაძლებლობას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებში ჩანდა ხედვა, თუ როგორ წარმართავდნენ სასწავლო პროცესს ინდივიდუალური მიდგომებით მოსწავლეთა ჩართულობით.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ინტერვიუს პროცესში კათედრის წარმომადგენელი მასწვალებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებიან კათედრის მასშტაბით და მსჯელობენ, როგორც კურიკულუმის შექმნის ისე მისი განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი მოსწავლეების ტიპურ ხარვეზებსა და წარმატებებს, (აღნიშნეს რომ აკეთებენ სისტემატიურ ჩანაწერებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ) რაც საშუალებას აძლევს ეს ყოველივე ასახონ კურიკულუმში, მის განახლებულ/გადამუშავებულ ვერსიებში.

- **ტექნოლოგიები**

სასწავლო პროცესში გათვალიწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პოტენციალი და საჭიროებები. შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები. დავალებები კომპლექსური ბუნებისაა და მრავალფეროვანია - მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის ეფექტური საშუალებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

<u>2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს</u>

- **მათემატიკა**

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. დაწყებით საფეხურზე (გარდა V კლასის მეორე სემესტრი დ VI კლასი) იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება შეფასდება solo-ტაქსონომიით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული თემების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა solo-ტაქსონომიით, შეფასების განმავითარებელი სიტყვიერი შეფასებები, რომელიც გამოიყენება დაწყებით საფეხურზე. ასევე, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა V კლასის კონკრეტული თემისთვის. აღნიშნული რუბრიკები თან ერთვის კურიკულუმებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- **სახელმწიფო ენა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. განმავითარებელი შეფასების განსახორციელებლად დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებისთვის, ხოლო V-VI კლასებისთვის კი მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასებისთვისაც.შეფასება ხდება შეფასების პირველი მოდელის საშუალებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასების ფორმაა SOLOLO ტაქსონომია, რომლითაც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს. ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებით. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა წარმატებების უზრუნველსაყოფად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. დიაგნოსტიკური შეფასება. რომლის მიზანიც იქნება სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები, ნათქვამია რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

- **სპორტი**

კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების სახით სკოლას აქვს წარმოდგენილი განმსაზრვრელი და განმავითერებლეი შეფასების ინტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით და მომავალ წელს გეგმავენ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრკების შექმნას. წარმოდგენილი დიკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამისობა

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს სწავლების დროს დაინახოს საკუთარი პროგრესი და მიღწევები, ასევე შეძლოს დაშვებული შეცდომების აღმოჩენა და მათი გამოსწორება. ხშირად იყენებენ თვითშეფასებას და უერთიერთშეფასებას, რას წარმოადგინეს ინტერვიუს დროს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და ინსტრუმენტებს

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ინტერვიუში აღნიშნეს, კათედრის წევრმა მასავლბლებმა, რომ აქვთ აქტიური და ეფექტიანი ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მაგ. მიმდინარე სწავლა - სწავლების პროცესის შესახებ აწვდიან მათ პერიოდულ ინფორმაციას და აქვთ ჯანსაღი ურთიერთობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმატის კომუნიკაციას, მაგ: ზეპირი, წერილბითი, ინდივიდუალური და ჯგუფური. განსაკუთრებით აღინიშნა რომ ყველაზე ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელ Facebook - ში შექმნილ ჯგუფს ზოგადი აქტუალური საკითხების განხილვისა და ინფორმაციის მიწოდებისთვის, ინდივიდუალურ საკითხებს კი განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონფიდენციალობის და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

- **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას. ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. შეფასების ორივე ტიპი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და დამიზნებულია, როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას, გულისხმობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებასა და შეფასებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

- **მათემატიკა**

როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა და ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას ჰყავს კინგსის მათემატიკური ლიგის 2021 წლის შემოდგომის სეზონის ოქროს დიპლომით და 2022 წლის გაზაფხულის სეზონის I ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული მოსწავლეები. კათედრაზე წინა სასწავლო წლის სასწავლო გეგმის, განხილვის საფუძველზე ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა. მოსწავლეთა ინტერესებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

დაწყებითი საფეხურის სახელმწიფო ენის საგნების მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც (თვითშეფასება, გაკვეთილებზე დაკვირვება...) დასტურდება. კათედრაზე, თანამშრომლობით პროცესში ზეპირი ფორმითაც ხდება წინა გამოცდილების რეფლექსია, რასაც დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ. საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა გუნდური მუშაობის პრინციპით ახდენს წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განაახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **სპორტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.

სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა.

- **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2023 წლის 1 ივნისს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შგადასინჯვა. ედეგები. შესაბამისად დადგენილი არსებული მდგომარეობის მიხედვით სკოლას შეუძლია წინარე გამოცდილების საფუძველზე მოახდინოს კურიკულუმის გადასინჯვა.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად ნერგავდნენ სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმისშესაბამის შესაბამის მეთოდოლოგიას და ინსტრუმენტებს. ასევე ანიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ , რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

საზოგადოებრივი მეცნიერებებიწარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.

- **ტექნოლოგიები**

თვითშეფასების ფორმიდან და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ მომდევნო წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას მასწავლებელი ითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას, მოსწავლეთა ინტერესებს, მზაობასა და წინარე ცოდნას. რეფლექსიისა და დაკვირვების საფუძველზე მასწავლებელი ახდენს ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიების განსაზღვრას. ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
- საგნობრივი კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე;
- ისგ-ს ნიმუში;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მე და საზოგადოებაში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- **მათემატიკა**

კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ მთავარი ორიენტირი მოსწავლეა. I - V კლასების საგნობრივ კურიკულუმებს თან ახლავს კომპლექსური დავალების ბარათები. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, რაც იწვევს მათ აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- **სახელმწიფო ენა**

სახელმწიფო ენის საბაზოს კათედრაზე პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილი საკვანძო კითხვები, იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას. ასევე მაგ. დაწყებითი კლასის მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონკურსებში, ტვინების ბრძოლაში. ამ სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კიდევ მეტი კომპლექსური დავალება, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

სკოლა მუშაობს მესამე თაობის ე.ს.გ მიხედვით და აქტიურად ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო, პროექტი და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. გასაუბრების ეტაპზე გაჟღერდა, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

- **სპორტი**

საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემო,ს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ინდიკატორთან შესაბამისობა დადასტურდება.

- **საბუნებისმეტყველი მეცნიერებები**

დაწყებითი საფეხურზე ბუნებისმეტყველების მიმართულებით კეთედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებითა და პროექტული სწავლების მიდგომებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განსაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. საგნობრივი კურიკულუმები წარმოდგენილია კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული დავალებებით, რითაც მოსწავლე გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში ჩართული. მაგალითად, მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შექმნილი პროდუქტები კომპლექსური დავალებების ფარგლებში: ეკოსისტემის და მზის სისტემის მოდელები, ჯანსაღი კვების "თეფში" და სხვ. გასაუბრებისას პედაგოგები აფიქსირებდნენ მზაობას კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების კუთხით.

- **ტექნოლოგიები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი სასკოლო კურიკულუმი წარმოდგენას იძლევა, რომ დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სადაც ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და განიხილება ამ პრობლემების გადაწყვეტის გზები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს გარდაქმნის აქტიურ სუბიექტად, რომელიც ცოდნას იძენს ფიქრის, მსჯელობის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

- **მათემატიკა**

კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი და კომპლექსური დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს. რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. რაც დაადასტურეს ინტერვიუზე მასწავლებლებმაც. ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

კათედრის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ, კათედრა ძირითადად იზიარებს ამ პრინციპს, რადგან კომპლექსური ბუნების დავალება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნის გააქტიურებას და ახალი ცოდნის კონსტრუირებას. მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, მაგალითად: სიტუაციური ამოცანები, ცდები, პერსონაჟის სკამი ,აუდიო ჩანაწერების მოსმენა, წიგნების კითხვა, ფილმების ჩვენება, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, გამოიყენება ცხრილები, სქემები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. კათედრა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას. კომპლექსურის განხორციელების პროცესში გააქტიურებული გეზისმიმცემი კითხვები, დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ააგოს ახალი ცოდნა, რომელიც კომპლექსურის პროდუქტის შესაქმნელადაა საჭირო. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, სტრატეგიულ გეგმაში ამ პრინციპზეცაა ყურადღება გამახვილებული. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირებას იწყებენ წინარე ცოდნის გააქტიურებით, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შესაბამისად, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა, ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლიდან, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმიდან, გასაუბრების შედეგების ანალიზიდან გამოიკვათა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში მოცემულია კონტექსტ მაგალითითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- **სპორტი**

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასების მატრიცებიც. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), მასში ასახული აქტივობები. კათედრის ეგიდით განხორციელებული პროექტები, რომლებიც გულისხმობს ათვისებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებას, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და მოსწავლეთა პორტფოლიოებიდან იკვეთება, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ეფუძნება წინარე ცოდნას, ახალი ინფორმაციის დაკავშირებას და მის გააზრებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად იყენებენ სადიაგნოსტიკო წერებს და აკეთებენ მის ანალიზს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკს, მზაობას და ინტერესებს. კომპლექსური დავალებების ბარათებში მოცემულია ისეთი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს უკვე შესწავლილი ცოდნა დაუკავშიროს ახალ ცოდნას და გამოცდილებას. ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს და ინტერვიუს დროს მატერიალური სახით წარმოადგნიეს გასავლელი ბარათები, რაც მათ საშუალებას აძლევს ანალიზის საფუძველზე უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი და გაითვალისწინონ მოსწავლეთა მზაობა და მიღწევები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- **ტექნოლოგიები**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობივი კურიკულუმი თემატურად ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეს ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- **მათემატიკა**

წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წაახალისონ მათი ჩართულობა სასწვლო პროცესში.ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე არის დამოუკიდებელი ინდივიდი და თავად არიან საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორები. მასწავლებლები ორიენტირებული არიან, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. მასწავლებლებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასება ორიენტირებულია ისე, რომ მოხდეს მოსწავლეთა შეფასება ინდივიდულაურად მის შესაძლებლობებზე დაყრდნობით. მარტივიდან რთულისაკენ სააზროვნო დონეების მიხედვით დასმული შეკითხვები, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები, როლური თამაშები და სხვა სტრატეგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს, გააცნობიერონ და გააკონტროლონ ის. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული განმავითარებელი შეფასებებიც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენაა მიმართული. ამ ინდიკატორში კათედრა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის იმ ნაწილში, სადაც საუბარია შეფასებაზე, ჩამოთვლილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, წინარე ცოდნის შემოწმების მიზნით ე.წ ,,ჩეკლისტი'' ..) ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლის მხიდან სწავლების სწავლაზე დაკვირვებას და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას.კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები იყენებენ მეტაკოგნიციური უნარების განმავითარებელ აქტივობებს, მოსწავლის თვითრეფლექსიას ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

- **სპორტი**

საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპსა და მის ბოლოს მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. სკოლა ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისაობაში.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიების დაუფლებაზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს და სტრატეგიებს: “ვიცი, მინდა, ვიცოდე”, თვითშეფასების და ურთიერთთშეფასების ბარათები. რჩევის სახით მოვაწოდეთ, რომ დაწყებით კლასში მარტივი ექსპერიმენტების და დაკვირვევების დროს გამოიყენონ დაკვირვების დღიურები და ცდის ოქმები, რომლის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების დაფიქსირებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მათი სწავლა სწავლების პროცესი გახდეს უფრო საინტერესო და ნაყოფიერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან .**

- **ტექნოლოგიები**

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კომპლექსური დავალების წარდგენა-პრეზენტაციისას მოსწავლე აკეთებს შესრულებული დავალებების ანალიზს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

<u>2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)</u>

- **მათემატიკა**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს უპირატესობა ენიჭება პირობისეული ცოდნის მიღწევას. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესი უკვე ქმნის ამ პრინციპის რეალიზების წინაპირობას, რადგან კომპლექსური დავალების პროდუქტზე მუშაობისას მოსწავლემ დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ტრანსფერი უნდა განახორციელოს, რაც ცოდნის პირობისეული ბუნებას ადასტურებს. ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. კლასის ამ ინდიკატორში კათედრა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეუილი ცოდნის განვითარებაზე, ასევე უცხო ენის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს.გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრმატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კომპლექსური დავალებების პირობებში, ასევე არაფორმალური განათლების ელემენტები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის ერთანიარ მნიშვნელობას ანიჭებს სამივე ტიპის ცოდნას. . ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

- **სპორტი**

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება. საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისია.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს და კომპლექსური ბარათების დახმარებით ირკვევა, სწავლის პროცესი იმგვარადაა აგებული, რომ მოიცავს ყველა დონის შეკითხვას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

- **ტექნოლოგიები**

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. შეთავაზებული კომპლექსური დავალების იდეები/პირობები მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

<u>2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.</u>

- **მათემატიკა**

წარმოდგენილ კურიკულუმებზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნები, კონტესტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირების საშუალებას. „მასწავლებლების მიერ ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ცოდნის ორგანიზებას და უკვე არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას“ - წერია სკოლის თვითშეფასების ფორმაში. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **სახელმწიფო ენა**

სკოლის თვითშეფასების, საგნობრივი კურიკულუმებისა და მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი სტანდარტებით შედგენილი კურიკულუმებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სახელმწიფო ენის შემთხვევაში მნიშვნელოვნია თემატური დაგეგმვაც, რადგან თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სასწავლო მასალასა და მოსწავლის ცოდნას შორის. კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- **უცხოური ენები**

კურიკულუმის ჩარჩოს სასწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მისაღწევია. .ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.

- **სპორტი**

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას . მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყველა თემა და დავალება, რომლებსაც იყენებენ სწავლების პროცესში, შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ცხოვრებისეულ მოვლენებთან. მაგალითად ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, გარემოს სისფუთავის შესანარჩუნებლად რეკომენდაციების გაცემა, პირადი ჰიგიენის დაცვა და სწორი კვების თეფში და ა.შ.

- **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტად გარდაქმნას. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ახორციელებენ ინტეგრირებულ პროექტებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

- მათემატიკა - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (I -VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სახელმწიფო ენა კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე, საგნობრივ კურიკულუმზე, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე, კათედრის წევრებთან კომპლექსური დავალებების შესახებ გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ძირითადად უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. ამ კომპონენტში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები უცხო ენების კათედრა სამივე საფეხურზე საგნებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კვირის გეგმების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
- სპორტი - საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.
  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდეგნილია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები და მიემართება გრძლევადიან მიზნებისკენ. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველი იქნებოდა, კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემაში წარმოჩენილიყო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება, ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და განაგრძობენ კურიკულუმის სრულყოფას.
- ტექნოლოგიები-წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. ანუ სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ასევე შესრულებული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლის რეფლექსია და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოწმობს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- მათემატიკა - კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული და საკითხები მოცემულია ისეთ კონტექსტში, რომ ხელი შეუწყოს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სახელმწიფო ენა საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. თვით საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები პირდაპირ კავშირშია მოსწავლის პიროვნული განვითარების პროცესთან, მათ შორის, ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან. კონტექსტები, რომლებიც მოსწავლის უახლოეს გარემოს უკავშირდება, აღძრავს ისეთ დილემურ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა კონფლიქტები და მათი მიზეზები, გადაწყვეტის გზები. მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ ისეთი კითხვების გამოყენება, როგორიცაა: მის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? რა სიტუაციაში გამოგადგება მიღებული ინფორმაცია? ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- უცხოური ენები დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების თემები, დავალებაზე მუშაობისას წამოჭრილი პრობლემა, შესასრულებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები ორივე უცხოურ ენაში შეესაბამება მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სოციო-ემოციური განვითარების დონეს, ინტერესებს, აქტუალურ სახკითხებს.გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებს და ამგვარად გეგმავს სასწავლო პროცესს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
- სპორტი - საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, ბუკლეტის მომზადება მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, მოცემულ ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> საგნობრივ კურიკულუმში შესასწავლი თემებთან მიმართებაში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კავშირშია ყოფით ცხოვრებასთან მაგ.: წყლის დაბინძურება და მისი შედეგები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სწორი კვების თეფში, პირველადი დახმარების აღმოჩენა და ა.შ. მოსწავლეები ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლა ტრადიციულ საქმიანობად განიხილავს პროექტებით სწავლებას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს მოსწავლის მხრიდან პროდუქტის შექმნას და მუშაობის პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გამოვლენას. მოსწავლეს უვითარდება თვითრეფლექსიის უნარი, რაც მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარების წინაპირობაა.
- <u>ტექნოლოგიები-</u>წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე - გააკეთოს ეთიკური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- მათემატიკა - სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- სახელმწიფო ენა სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მათოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს, წამახალისებელ მითითებებს ან წერილობით უკუკაშირს და სიმბოლურ ნიშნებს. ხოლო V კლასში II სემესტრში და VI კლასში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი,ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- უცხოური ენები სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს შეფასების მექანიზმები, გარდა ამისა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება,შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია.სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- <u>სპორტი -</u> რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.
  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცეში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწალებლთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე დასტურდება **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და ინდიკატორთან შესაბამისობა.**
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საგნობრივ კურიკულუმებში</u> წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ (I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება) შეფასების ორივე ფორმას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით.

- ტექნოლოგიები-წარმოდგენილი რუბრიკებით და ინტერვიურებისას აღწერილი შეფასების სისტემა არის ჰოლისტური და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების მხარდაჭერაზე. გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. ყველა ტიპის შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე და მათი განვითარებისთვის. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით წარმოდგენილია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. თვითსეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა იყენებს თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებელთა სისტემატურ ჩანაწერებს მოსწავლის მიღწევებზე, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელსაც განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სსიპ ქალაქ თბილისის 48-ე საჯარო სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პირებად განსაზღვრულნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. ექპერტთა ჯგუფის მხრიდან ჩატარებული შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეების ნამუშევრების ანალიზი და შედეგების დიაგნოსტირება. მტკიცებულებად სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი იყო მოქმედი სასკოლო- სასწავლო გეგმა და დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვასა და შენახვას, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის აღრიცხვისა და შენახვის ვადა გაწერილი-დაკონკრეტებული. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც თავმოყრილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის შესახებ. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სქემები;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- საფეხურის დაძლევის ოქმები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში ვიზიტის დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა, მშობლებთან ურთიერთობის დებულება) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და წარმომადგენლებს ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ. ხშირია მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრა მოსწავლის საჭიროებებისა თუ მათი ინიციატივების მოსმენის კუთხით, სკოლა მშობელბთან თანამშრომლობს სხვადასხვა პროექტის განხორციელების ეტაპზე, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შექმნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების, იდეების მხარდაჭერისა და ინიციატივების წასახალისებლად კლასის დამრიგებელი. ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია.

2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მათოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს, წამახალისებელ მითითებებს ან წერილობით უკუკაშირს და სიმბოლურ ნიშნებს. ხოლო V კლასში II სემესტრში და VI კლასში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი,ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა.

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურაზე, ურთიერთსწასვლებასა და შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ამას ადასტურებს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებები, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. ჩანს, რომ გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სასწავლო და შემეცნებით აქტივობებს, ითვალისწინებენ, ერთი მხრივ, მოსწავლეთა, მეორე მხრივ კი კოლეგების მოსაზრებებს, არსებობს მშობლებთან ურთიერთობების სხვადასასხვა ფორმატი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. სახელმწიფო ენის სგანშიდაგეგმილი აქტივობები, მეთოდები, რომლებივ მოტივაციას ქმნის ღია დათავისუფალი დისკუსიებისთვის , საკითხის კრიტიკული გააზრებისთვის, აჩვევს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრების ღიად გამოთქმას, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენასა და პატივისცემას, უტოვებსმოსწავლეებს ალტერნატიული დავალებების არჩევანს, რაც წარმოადგენს პოზიტიურიკლიმატის შექმნის წინაპირობას კლასში, ხოლო სკოლის დონეზე ამას აჩვენებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები სამუშაო შეხვედრების დროს გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებას, აკეთებენ და ანალიზს, ხდება საუკეთესო პაქტიკის გაზიარება. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. მოწმდება, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება თანამშრომლობითი კულტურა , მხარდაჭერა და მოსწავლეების და მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც სხვა ფუნქცია მოვალეობებთან ერთად ჩანს კათედრების როლის გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების , სხვადასხვა პროგრამებში, ოლიმპიადებში, კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს , ანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილების, ფუნქციების და მოვალეობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარებით . მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშებიდან და გასაუბრებიდან დადგინდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა, რადგან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სქემებს („შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, “ვიცი,მინდა ვიცოდე“, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თვითრეფლექსიები და სხვა) მათგან უკუკავშირის მისაღებად და მათი ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების დასადგენად რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების სქემებს, კითხვარებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების დადგენას უზრუნველყოფს და ეხმარება მათ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ პრობლემების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის შემუშავების მტკიცებულება;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. ასევე იყენებენ მოსწავლეების გამოკითხვასა და მოსწავლეებზდე დაკვირვებას. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით, გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, აგრეთვე, აქვთ ჯგუფური მუშობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები, ასევე, მტკიცებულებად აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი შესრულებულია.**

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. სკოლისთვის მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმუვად იკვლევს, აკვირდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. კათედრა გეგმავს ყველა თემისთვის შექმნას შეფასების ახალი რუბრიკები ქოუჩების მიერ შეთავაზებული ნიმუშების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას იღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებია გამოყენებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებები, რეფლექსიები, განმავითარებელი კომენტარი. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების დროს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი კულტურა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კათედრაზე შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მოტივაცია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრები მუშაობენ ისეთ შეფასების კრიტერიუმებით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი. კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე. გათვალისწინებულია ასევე დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში იწყება და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, პედაგოგებს აქვთ კურიკულუმის შექმნისა და რევიზიის გამოცდილება. სკოლის კურიკულუმის განხორციელების ეტაპზე ხდება პროცესზე დაკვირვება. ამასთან, ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. ამ პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ახდენენ მის განზოგადებას, ადგენენ იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. შესაბამისად, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, ახალი კურიკულუმის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ასევე, გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. <u>კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას</u>

სასკოლო კურიკულუმი მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. აქედან გამომდინარე კურიკულუმის მეთოდოლოგია იმთავითვე განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება კათედრების მიერ სასწავლო წლის დასრულებისას, რის შემდეგაც ხდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების პირობებს, შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს. კურიკულუმების შემუშავებისას კათედრა ხელმძღვანელობდა საგნობრივი ექსპერტების მიერ შეთავაზებული მასალებით და კომპლექსური დავალებების ბანკით. სასურველია კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების გზა და დაზუსტდეს კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად სასკოლო საზოგადოების ინტერესისს გათვალისწინებით იგეგმება როგორც პროექტები, ასევე დამატებითი მომსახურება. მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა კათედრათაშორისო თანამშრომლობა. სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო პროექტის და დამატებითი მომსახურების დაგეგმვის დროს. მაგალითად კლუბური მუშაობის, წრეების ფუნქციონირების დროს. მაგალითად: წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით პირველ კლასში მოსწავლეთა მშობლებმა დამრიგებელთან თანამშრომლობით, მოსწავლეებს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წაუკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხული წიგნების შესახებ და დახატეს პერსონაჟები. მშობლები აქტიური მონაწილეები არიან კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში როგორც მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებები მათი გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შეიმუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი წარედგინება პედაგოგიიურ საბჭოს და შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს. რაც ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მშობლების ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდზე; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. შემუშავებული კურიკულუმები უზიარდება საგნობრივ კათედრებზე, ფორმდება კათედრის ოქმის საშუალებით, შემდეგ ეტაპზე უზიარდება დირექციასა და მშობლებს. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიას წლის დასაწყისში აცნობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებს, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. მასწავლებლების ინტერვიუების დროს აღწერდნენ, თუ როგორ ხდება მშობლის ინფორმირება და მათი ჩართულიბა სასწავლო პროცესში. შეიმჩნევა დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენლი კათედრის ოქმი ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. სკოლაში ვებ-გვერდი დახვეწის რეჟიმშია, ინტერვიუების დროს სკოლის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ გეგმავენ ვებ-გვერდზე კურიკულუმების შესახებ ინფორმაციების ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- კათედრის თავმჯდომარეის ანგარიშები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება მისი სასურველი ფორმით წარმოადგინოს შესრულებული დავალება. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
- სახელმწიფო ენა კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ დავალებებსა და საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით, ესეებით საკუთარი თავის წარმოჩენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალება. წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში გაწერილი კომპონენტები ძირითადად პასუხობს სტანდარტების მოთხოვნას. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი ემსახურება ე.ს.გ მოთხოვნების რელიზებას, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილი უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები ორივე საგანში და კომპლექსური დავალებების ბარათებში ასახულია ე.ს.გ მიხედვით გათვალისიწნებული სავალდებულო თემები. ასევე გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რაც ეფუძნება სწვლა-სწავლების პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის მოტივაციის ზრდას და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვიოთარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
- <u>სპორტი</u> - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

  მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
- <u>ესთეტიკური აღზრდა</u> -საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ემსახურება საგნობრივი სტანტარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სამივე საგნის (ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია)კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. კომპლექსური დავალებები შედგენილია იმგვარად, რომ სწავლა სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელი შეუწყოს სწავლის პროცესის განვითარებას. **ინტიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
- საზოგადოებრივი მეცნიერებები **სკოლა მუშაობს მეთოდოლოგიის შემუშავება - დახვეწის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა, ისაუბრეს თუ როგორ ქმნიან <u>კურიკულუმს, და რომ ამ პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებებს და ინტერესებს.</u>**

<u>2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)</u>

- <u>მათემატიკა -</u> კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. აღსანიშნავია, მასწავლებელთა სურვილი და მონდომება გაერკვნენ და უფრო თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის დავალება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- <u>სახელმწიფო ენა</u> საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. კურიკულუმებში აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებში განვითარდეს XXI საუკუნის ისეთი უნარებს, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის ცვლილებები. და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები შეეხნენ კომპლექსური დავალების იდეების კავშირს გლობალურ-ფუნქციურ უნარებთან, მაკროცნებებსა და სამიზნე ცნებებთან, რომ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გსაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
- <u>სპორტი -</u> კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

  კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

  შემოქმედებითობა - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრი-ტი-კუ-ლი აზ-როვ-ნე-ბა - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

კო-მუ-ნი-კა-ცია - წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა, შეთანხმება. მაგალითად სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.

კო-ლა-ბო-რა-ცია - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.

მოქალაქეობა - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.

ხასიათი/ნებელობა - კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. <u>**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**</u>

- <u>ესთეტიკური აღზრდა - </u>საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მe-9 კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.

- _საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს. მსგავის ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი უზუსტობისა შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) **დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და კომპლექსური დავალებები მეტყველებს იმაზე, რომ კურიკულუმი მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ჩარჩოში ჩაშენებულია სამიზნე ცნებები და ქვეყნები. კომპლექსური დავალებების იდეა და შინაარსი იძლევა მოსწავლის აქტიური ჩართვის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. მაგ.:კრისტალების გაზრდა, კვერცხისაგან ჩაფხუტის გაკეთება, წყლის და სხვა ნივთიერების მოლეკულის მოდელის შექმნა, საინფორმაციო პოსტერების და ბუკლეტების დამზადება და სხვა. ეს ყველაფერი დასტურდება პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, მოსწავლეთა პორტფოლიოებიდან და ნამუშევრებიდან. ამრიგად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ.
- საზოგადოებრივი მეცნიერებებისაზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.

<u>2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს</u>

- <u>მათემატიკა -</u> საბაზო საფეხურზე სკოლას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესში მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლას საბაზო საფეხურზე გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. მასალებში წარმოდგენილა მე-8 კლასის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კომპლექსური დავალებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებლები ეყრდნობიან მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნას. როგორც აღნიშნეს, სსსმ მოსწავლისათვის ხდება კომპლექსური დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდიფიცირება და იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკა. ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა სასწავლო</u> პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი და ა.შ.) სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტიურ დონეს და გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. სასწავლო გეგმები მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ. წლის განმავლობაში იმართება მინიმუმ ოთხი ისგ ჯგუფის შეხვედრა და დგება შეხვედრის შესაბამის ოქმები. ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი და წლის ბოლოს ყველა ჩართული სპეციალისტი წარადგენს წლიურ ანგარიშს. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები-გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში შქმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს<u>.</u>
- <u>უცხოური ენები</u> სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათელაბს, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). **ინდიკატორი შესაბამისაობაშია**
- <u>სპორტი-</u> ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები.
წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.
პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას . დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართებით **დგინდება შესაბამისობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ჩანს შსს-მ მოსწავლის ინდ გეგმაში. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს აძლევენ თავისუფალი არჩევანის უფლებას დავალებების შესრულებისას: თავად წყვეტენ თუ როგორი მასალით და რა ფორმით შექმნანა სხვადახვა მოდელი ან დიორამა. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს დიაგნოსტიკური ტესტებით, გასასვლელი ბილეთებით, თვითრეფლექსიებით და ა.შ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
- <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>ინტერვიუს პროცესში კათედრის წარმომადგენელი მასწვალებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებიან კათედრის მასშტაბით და მსჯელობენ, როგორც კურიკულუმის შექმნის ისე მისი განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი მოსწავლეების ტიპურ ხარვეზებსა და წარმატებებს, (აღნიშნეს რომ აკეთებენ სისტემატიურ ჩანაწერებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ) რაც საშუალებას აძლევს ეს ყოველივე ასახონ კურიკულუმში, მის განახლებულ/გადამუშავებულ ვერსიებში.

<u>2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს</u>

- <u>მათემატიკა - </u>წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. საბაზო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება შეფასდება solo-ტაქსონომიით. სკოლას წარმოდგენილი აქვს IX კლასის კონკრეტული თემების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- <u>სახელმწიფო ენა </u>სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება შეფასების პირველი მოდელის საშუალებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასების ფორმაა SOLO ტაქსონომია, რომლითაც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები,რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს.ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება. აღნიშნული შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოხდება მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვა. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა წარმატებების უზრუნველსაყოფად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. დიაგნოსტიკური შეფასება. რომლის მიზანიც იქნება სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები, ნათქვამია რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
- <u>სპორტი -</u> კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

  განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> საბაზო საფეხურის მუსიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასების სასწავლო პროგრამაში, ხოლო სახვითი და გგამოყენებითი ხელოვნებია მე-8 კლასის პროგრამაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები ცხადყოფს, რომ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებს. ამავე დროს, კათედრის გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ ნაწილობრივაა გაკეთებული მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების ანალიზი და ასევე, ნაწილობრივაა დაგეგმილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ინტერვენციები. თუმცა მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ განსახორციელებელ ინტერვენციებში აქტიურად უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებების მრავალფეროვანი რუბრიკები კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში. დასახელებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორის მიმართებით დგინდება შესაბამისობა.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u>სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა შეფასების გზები და მიზნები, წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი კომპონენტი და მასწავლებელთა უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაგეგმონ საკუთარი სწავლის პროცესი და დინამიკაში დაინახო საკუთარი პროგრესი, დასახონ ხარვეზების გამოსწორების გზები. რჩევის სახით მივაწოდეთ კათედრის წევრებს, რომ, სასურველია აწარმოონ ექსპერიმენტის ცდის ოქმები, დაკვირვების დღიურები, მარტივი კვლევის ანგარიშები, რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები.
- საზოგადოებრივი მეცნიერებებიინტერვიუში აღნიშნეს, კათედრის წევრმა მასავლბლებმა, რომ აქვთ აქტიური და ეფექტიანი ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მაგ. მიმდინარე სწავლა - სწავლების პროცესის შესახებ აწვდიან მათ პერიოდულ ინფორმაციას და აქვთ ჯანსაღი ურთიერთობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმატის კომუნიკაციას, მაგ: ზეპირი, წერილბითი, ინდივიდუალური და ჯგუფური. განსაკუთრებით აღინიშნა რომ ყველაზე ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელ Facebook - ში შექმნილ ჯგუფს ზოგადი აქტუალური საკითხების განხილვისა და ინფორმაციის მიწოდებისთვის, ინდივიდუალურ საკითხებს კი განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონფიდენციალობის და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

<u>2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.</u>

სახელმწიფო ენა - <u>საბაზო საფეხურის სახელმწიფო ენის საგნების მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც</u> ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც (თვითშეფასება, გაკვეთილებზე დაკვირვება...) დასტურდება. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის, კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე კი მომავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. კათედრაზე, თანამშრომლობით პროცესში ზეპირი ფორმითაც ხდება წინა გამოცდილების რეფლექსია, რასაც დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ. საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა გუნდური მუშაობის პრინციპით ახდენს წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განაახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა - როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა და ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. კათედრაზე წინა სასწავლო წლის სასწავლო გეგმის, განხილვის საფუძველზე ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა. მოსწავლეთა ინტერესებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

სპორტი - ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ-ს ნიმუში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.1.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- მათემატიკა - კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ მთავარი ორიენტირი მოსწავლეა. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, რაც იწვევს მათ აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- სახელმწიფო ენა სწავლა-სწავლების პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამის საშუალებას იძლევა სკოლაში განხორციელებული კურიკულუმი, პროექტები, კლუბებში მუშაობა თუ არაფორმალურ გარემოში მონაწილეობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს, რაც ჩანს კომპლექსურ დავალებებში. ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილი საკვანძო კითხვები, იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას. ასევე მაგ. საბაზო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონკურსებში, კლუბურ მუშაობაში. ამ სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კიდევ მეტი კომპლექსური დავალება, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.
  ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს.
- **უცხოური ენები**
  სკოლა მუშაობს მესამე თაობის ე.ს.გ მიხედვით და აქტიურად ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო, პროექტი და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. გასაუბრების ეტაპზე გაჟღერდა, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას.
  მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემო,ს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**
- <u>ესთეტიკური აღზრდა</u> -სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და კომპლექსური დავალებების შინაარსიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესი იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე აქტიურად და შემოქმედებითად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. კვლევის და მარტივი ექსპერიმენტების დროს მოსწავლეს უწევს ფიქრი პრობლემის გადასაჭრელად და ისახავს მიზნად მათ გადასაჭრელად. ადგილზე დათვალიერებისას მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები (ატომის აღნაგობის მოდელები, ფილტვის და სხვა ორგანოების მოდელი და სხვ.) არის ამისი დასტური. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, დიდ ყურადღებას აქცევენ კეთებით სწავლებას, რაც საგნობრივ ჭრილში ძალიან აქტუალურია და მოსწავლეებს უქმნის მოტივაციას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

<u>2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით</u>

- <u>მათემატიკა -</u> კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი და კომპლექსური დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს. რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. რაც დაადასტურეს ინტერვიუზე მასწავლებლებმაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- <u>სახელმწიფო ენა</u> სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. საბაზო საფეხურის კლასების მასწავლებლები დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ, კათედრა ძირითადად იზიარებს ამ პრინციპს, რადგან კომპლექსური ბუნების დავალება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნის გააქტიურებას და ახალი ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსურის განხორციელების პროცესში გააქტიურებული გეზისმიმცემი კითხვები, დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ააგოს ახალი ცოდნა, რომელიც კომპლექსურის პროდუქტის შესაქმნელადაა საჭირო. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, სტრატეგიულ გეგმაში ამ პრინციპზეცაა ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად, ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>უცხოური ენები</u> ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა, ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმიდან, გასაუბრების შედეგების ანალიზიდან გამოიკვეთა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე კომპლექსური დავალებების ბარათებში მოცემულია კონტექსტ მაგალითითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლავა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

  წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასების მატრიცებიც.

  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, განხორციელებული პროექტები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან **შესაბამისობა დასტურდება.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> სკოლის სასწავლო გეგმიდან, კურიკულუმის შეფასების დოკუმენტიდან, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკს, მზაობას და ინტერესებს. ამისთვის იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს და მეთოდებს: დიაგნოსტიკური წერები, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეთა თვითრეფლექსიები. კომპლექსური დავალებებში მოცემული კონტექსტ მაგალითებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები იღებენ ახალ ცოდნას და გამოცდილებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

<u>2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე</u>

- მათემატიკა - წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წაახალისონ მათი ჩართულობა სასწვლო პროცესში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- <u>სახელმწიფო ენა</u> მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, მოსწავლეს შეუძლია სწავლის ღირებულების განსაზღვრა და რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას, რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა.
  მარტივიდან რთულისაკენ სააზროვნო დონეების მიხედვით დასმული შეკითხვები, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები, როლური თამაშები და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს, გააცნობიერონ და გააკონტროლონ ის. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული განმავითარებელი შეფასებებიც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენაა მიმართული. ამ ინდიკატორში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს

- <u>უცხოური ენები</u> კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის იმ ნაწილში, სადაც საუბარია შეფასებაზე, ჩამოთვლილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, წინარე ცოდნის შემოწმების მიზნით ე.წ ,,ჩეკლისტი'' ..) ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლის მხიდან სწავლების სწავლაზე დაკვირვებას და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები იყენებენ მეტაკოგნიციური უნარების განმავითარებელ აქტივობებს, მოსწავლის თვითრეფლექსიას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას.

  მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპსა და მის ბოლოს მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**
- <u>ესთეტიკური აღზრდა სკოლა წარმოაგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიების დაუფლება, მაგრამ არ დასტურდება ეს მტკიცებულებების სახით. **სკოლა ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისობაში.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმები, კითხვარები, კვლევების ანგარიშები და სხვა. მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლეებს სწავლის სწავლაში და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მაგ.: "დააკვირდი და გამოიტანე დასკვნა, თუ როგორ მუშაობს გული სხვადასხვა დატვირთვის დროს", "დაამზადეს სხვადასხვა ტიპის ნარევი და იმსჯელეს მის თვისებებზე და დაყოფის ხერხებზე," და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- მათემატიკა - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს უპირატესობა ენიჭება პირობისეული ცოდნის მიღწევას. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- სახელმწიფო ენა კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესი უკვე ქმნის ამ პრინციპის რეალიზების წინაპირობას, რადგან კომპლექსური დავალების პროდუქტზე მუშაობისას მოსწავლემ დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ტრანსფერი უნდა განახორციელოს, რაც ცოდნის პირობისეული ბუნებას ადასტურებს. ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ამ ინდიკატორში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- უცხოური ენები სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეუილი ცოდნის განვითარებაზე, ასევე უცხო ენის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სააზროვნო უნარებს.გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრმატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კომპლექსური დავალებების პირობებში, ასევე არაფორმალური განათლების ელემენტები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის ერთანიარ მნიშვნელობას ანიჭებს სამივე ტიპის ცოდნას. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- <u>სპორტი -</u> სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.
  ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება.
  საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირება.
  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმების ჩარჩებისა და მასწავლებლების ინტერვიუების დროს მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ **საბაზო საფეხურის მუსიკიასა და სხვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობაშია .**
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u>სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებაზე. მაგ.: რომელი ორგანოები ქმნის გულ-სისხლძრღვთა სისტემას? რა ფუნქცია და დანიშნულება აქვს მას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორ ხდება სისხლის მოძრაობა. ? შეადარე ერთმანეთს ხერხემლიანი ცხოველების და ადამიანის გულსისხლძართვთა სისტემის აგებულება და ფუნქციები და იმსჯელეს მათ განსხვავებაზე. და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- მათემატიკა - წარმოდგენილ კურიკულუმებზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. „მასწავლებლების მიერ ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ცოდნის ორგანიზებას და უკვე არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას“ - წერია სკოლის თვითშეფასების ფორმაში. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობა.**
  - სახელმწიფო ენა სკოლის თვითშეფასების, საგნობრივი კურიკულუმებისა და მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი სტანდარტებით შედგენილი კურიკულუმებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სახელმწიფო ენის შემთხვევაში მნიშვნელოვნია თემატური დაგეგმვაც, რადგან თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სასწავლო მასალასა და მოსწავლის ცოდნას შორის. კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას. ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
  - უცხოური ენები უცხო ენების განობრივი კურიკულუმის ჩარჩოს სასწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მისაღწევია. .**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
  - სპორტი - საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას . მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ.აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u>მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**
- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -</u>საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას აქცენტი კეთდება დაკვირვებაზე, ექსპერიმენტებზე და კვლევებზე, კეთებით სწავლებაზე, რაც თვისთავად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოსწავლე ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ამას ადასტურებს მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები (ფილტვის, თირკმლის და კბილის მოდელები, დიორამები ეკოსისტემების შესახებ). რჩევის სახით მიიღეს ლათედრის წევრებმა, რომ ასეთი აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზება და ურთიერთაკავშირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

- მათემატიკა - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (*VII – IX* კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- სახელმწიფო ენა კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე, საგნობრივ კურიკულუმზე, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე, კათედრის წევრებთან კომპლექსური დავალებების შესახებ გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ძირითადად უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. ამ კომპონენტში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- უცხოური ენები უცხო ენების კათედრა სამივე საფეხურზე საგნებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კვირის გეგმების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.
- სპორტი საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.**
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სამივე საგნის (ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეყნები და კონტექსტ მაგალითები, რაც გრძელვადიან მიზანთან მიმართებაშია. კომპლექსური დავალების ტიპის ბარათებში აქცენტი კეთდება მკვიდრ წარმოდგენებზე. პირისპირ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისე, რომ საგნობრივი საკითხების შესწავლისას მოხდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება, ეს შედეგი კი მიიღწევა მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებიდან, რომლებიც ნათლად ჩანს კომპლექსური დავალებების შინაარსში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართან.**

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- მათემატიკა - კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული და საკითხები მოცემულია ისეთ კონტექსტში, რომ ხელი შეუწყოს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
- სახელმწიფო ენა საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. თვით საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები პირდაპირ კავშირშია მოსწავლის პიროვნული განვითარების პროცესთან, მათ შორის, ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან. კონტექსტები, რომლებიც მოსწავლის უახლოეს გარემოს უკავშირდება, აღძრავს ისეთ დილემურ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა კონფლიქტები და მათი მიზეზები, გადაწყვეტის გზები. მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ ისეთი კითხვების გამოყენება, როგორიცაა: მის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? რა სიტუაციაში გამოგადგება მიღებული ინფორმაცია? ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების თემები, დავალებაზე მუშაობისას წამოჭრილი პრობლება, შესასრულებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები ორივე უცხოურ ენაში შეესაბამება მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სოციო-ემოციური განვითარების დონეს, ინტერესებს, აქტუალურ სახკითხებს.გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებს და ამგვარად გეგმავს სასწავლო პროცესს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
- <u>სპორტი -</u> საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, ბუკლეტის მომზადება მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

  ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან არის შესაბამისობა.**
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საგანში კომპლექსური დავალებების თემები და საკითხები იმგვარად შერჩეული, რომ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები და საჭიროებები და შეესაბამება მოსწავლეთა სოციო-ემოციური განვითარების დონეს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს იკვლევენ დიაგნოსტიკური წერის, გასასვლელი ბილეთების და თვითშეფასების კითხვარებით. ამგვარად, კათედრა ერთობლივად გეგმავს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- მათემატიკა - სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
- სახელმწიფო ენა სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა.

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს შეფასების მექანიზმები, გარდა ამისა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება,შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია.სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
- <u>სპორტი -</u> რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. საბაზო საფეხურზე, კათედრის მიერ სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო აქტივობების განუყოფელი ნაწილია. მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> სკოლას სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარები, თვითშეფასების ფორმების და დაკვირვების ფორმები და სხვა.) აღნიშნული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი ვერიფიკაციის მექანიზმი. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>

<u>2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი</u>

_კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. თვითსეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა იყენებს თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებელთა სისტემატურ ჩანაწერებს მოსწავლის მიღწევებზე, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.2.<u>5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>

სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელსაც განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სსიპ ქალაქ თბილისის 48-ე საჯარო სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პირებად განსაზღვრულნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. ექპერტთა ჯგუფის მხრიდან ჩატარებული შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეების ნამუშევრების ანალიზი და შედეგების დიაგნოსტირება. მტკიცებულებად სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი იყო მოქმედი სასკოლო- სასწავლო გეგმა და დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვასა და შენახვას, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის აღრიცხვისა და შენახვის ვადა გაწერილი-დაკონკრეტებული. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც თავმოყრილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის შესახებ. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სქემები;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- საფეხურის დაძლევის ოქმები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში ვიზიტის დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა, მშობლებთან ურთიერთობის დებულება) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და წარმომადგენლებს ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ. ხშირია მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრა მოსწავლის საჭიროებებისა თუ მათი ინიციატივების მოსმენის კუთხით, სკოლა მშობელბთან თანამშრომლობს სხვადასხვა პროექტის განხორციელების ეტაპზე, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შექმნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების, იდეების მხარდაჭერისა და ინიციატივების წასახალისებლად კლასის დამრიგებელი. ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია.

2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მათოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს, წამახალისებელ მითითებებს ან წერილობით უკუკაშირს და სიმბოლურ ნიშნებს. ხოლო V კლასში II სემესტრში და VI კლასში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი,ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა.

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურაზე, ურთიერთსწასვლებასა და შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ამას ადასტურებს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებები, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. ჩანს, რომ გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სასწავლო და შემეცნებით აქტივობებს, ითვალისწინებენ, ერთი მხრივ, მოსწავლეთა, მეორე მხრივ კი კოლეგების მოსაზრებებს, არსებობს მშობლებთან ურთიერთობების სხვადასასხვა ფორმატი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. სახელმწიფო ენის სგანშიდაგეგმილი აქტივობები, მეთოდები, რომლებივ მოტივაციას ქმნის ღია დათავისუფალი დისკუსიებისთვის , საკითხის კრიტიკული გააზრებისთვის, აჩვევს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრების ღიად გამოთქმას, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენასა და პატივისცემას, უტოვებსმოსწავლეებს ალტერნატიული დავალებების არჩევანს, რაც წარმოადგენს პოზიტიურიკლიმატის შექმნის წინაპირობას კლასში, ხოლო სკოლის დონეზე ამას აჩვენებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები სამუშაო შეხვედრების დროს გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებას, აკეთებენ და ანალიზს, ხდება საუკეთესო პაქტიკის გაზიარება. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. მოწმდება, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება თანამშრომლობითი კულტურა , მხარდაჭერა და მოსწავლეების და მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც სხვა ფუნქცია მოვალეობებთან ერთად ჩანს კათედრების როლის გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების , სხვადასხვა პროგრამებში, ოლიმპიადებში, კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს , ანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილების, ფუნქციების და მოვალეობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარებით . მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშებიდან და გასაუბრებიდან დადგინდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა, რადგან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სქემებს („შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, “ვიცი,მინდა ვიცოდე“, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თვითრეფლექსიები და სხვა) მათგან უკუკავშირის მისაღებად და მათი ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების დასადგენად რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. დაწყებითი საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების სქემებს, კითხვარებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების დადგენას უზრუნველყოფს და ეხმარება მათ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ პრობლემების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის შემუშავების მტკიცებულება;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. ასევე იყენებენ მოსწავლეების გამოკითხვასა და მოსწავლეებზდე დაკვირვებას. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით, გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, აგრეთვე, აქვთ ჯგუფური მუშობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები, ასევე, მტკიცებულებად აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი შესრულებულია.**

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. სკოლისთვის მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმუვად იკვლევს, აკვირდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. კათედრა გეგმავს ყველა თემისთვის შექმნას შეფასების ახალი რუბრიკები ქოუჩების მიერ შეთავაზებული ნიმუშების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას იღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებია გამოყენებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებები, რეფლექსიები, განმავითარებელი კომენტარი. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების დროს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი კულტურა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კათედრაზე შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მოტივაცია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრები მუშაობენ ისეთ შეფასების კრიტერიუმებით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი. კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე. გათვალისწინებულია ასევე დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.2 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში იწყება და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, პედაგოგებს აქვთ კურიკულუმის შექმნისა და რევიზიის გამოცდილება. სკოლის კურიკულუმის განხორციელების ეტაპზე ხდება პროცესზე დაკვირვება. ამასთან, ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. ამ პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ახდენენ მის განზოგადებას, ადგენენ იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. შესაბამისად, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, ახალი კურიკულუმის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ასევე, გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საშუალო საფეხური</u>**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

5. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
6. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
7. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
8. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1. <u>კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას</u>

სასკოლო კურიკულუმი მოიცავს საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. აქედან გამომდინარე კურიკულუმის მეთოდოლოგია იმთავითვე განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება კათედრების მიერ სასწავლო წლის დასრულებისას, რის შემდეგაც ხდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების პირობებს, შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება მოხდა 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს. კურიკულუმების შემუშავებისას კათედრა ხელმძღვანელობდა საგნობრივი ექსპერტების მიერ შეთავაზებული მასალებით და კომპლექსური დავალებების ბანკით. სასურველია კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგიაში დეტალურად გაიწეროს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების გზა და დაზუსტდეს კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი (გაიწეროს კონკრეტული აქტივობები).

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად სასკოლო საზოგადოების ინტერესისს გათვალისწინებით იგეგმება როგორც პროექტები, ასევე დამატებითი მომსახურება. მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომელიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა კათედრათაშორისო თანამშრომლობა. სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო პროექტის და დამატებითი მომსახურების დაგეგმვის დროს. მაგალითად კლუბური მუშაობის, წრეების ფუნქციონირების დროს. მაგალითად: წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით პირველ კლასში მოსწავლეთა მშობლებმა დამრიგებელთან თანამშრომლობით, მოსწავლეებს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წაუკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხული წიგნების შესახებ და დახატეს პერსონაჟები. მშობლები აქტიური მონაწილეები არიან კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში როგორც მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებები მათი გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეიმუშავება ხდება კათედრაზე, კათედრის წევრების მიერ. პედაგოგები თანხმდებიან თემებზე, თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, ქვეცნებებზე და ცნებებზე, არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი წარედგინება პედაგოგიიურ საბჭოს და შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს. რაც ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თუმცა დოკუმენტში არ არის გაწერილი რა სახით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებისას, გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც იკვეთება, რომ მშობლების ჩართულობა მაღალია დანერგვის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. შემუშავებული კურიკულუმები უზიარდება საგნობრივ კათედრებზე, ფორმდება კათედრის ოქმის საშუალებით, შემდეგ ეტაპზე უზიარდება დირექციასა და მშობლებს. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიას წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. მასწავლებლების ინტერვიუების დროს აღწერდნენ, თუ როგორ ხდება მშობლის ინფორმირება და მათი ჩართულიბა სასწავლო პროცესში. შეიმჩნევა დაწყებითის, საშუალო და საშუალო საფეხურის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენლი კათედრის ოქმი ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. სკოლაში ვებ-გვერდი დახვეწის რეჟიმშია, ინტერვიუების დროს სკოლის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ გეგმავენ ვებ-გვერდზე კურიკულუმების შესახებ ინფორმაციების ასახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშვების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- კათედრის თავმჯდომარეის ანგარიშები;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასურველი ფორმით წარმოადგინოს შესრულებული დავალება. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- სახელმწიფო ენა კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. თემის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ დავალებებსა და საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით, ესეებით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. წარმოდგენილი კურიკულუმები, მასში გაწერილი კომპონენტები ძირითადად პასუხობს სტანდარტების მოთხოვნას. ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმი ემსახურება ე.ს.გ მოთხოვნების რელიზებას, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილი უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმები ორივე საგანში და კომპლექსური დავალებების ბარათებში ასახულია ე.ს.გ მიხედვით გათვალისიწნებული სავალდებულო თემები. ასევე გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რაც ეფუძნება სწვლა-სწავლების პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს. აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის მოტივაციის ზრდას და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვიოთარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- სპორტი - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა -საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ემსახურება საგნობრივი სტანტარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სამივე საგნის (ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია)კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. კომპლექსური დავალებები შედგენილია იმგვარად, რომ სწავლა სწავლების პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელი შეუწყოს სწავლის პროცესის განვითარებას. **ინტიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები **სკოლა მუშაობს მეთოდოლოგიის შემუშავება - დახვეწის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა, ისაუბრეს თუ როგორ ქმნიან კურიკულუმს, და რომ ამ პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებებს და ინტერესებს.**

2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>მათემატიკა - </u>კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები. კურიკულუმებში თემები, დავალებები და შეფასების ინსტრუმენტები მოსწავლის პიროვნული განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები. აღსანიშნავია, მასწავლებელთა სურვილი და მონდომება გაერკვნენ და უფრო თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის დავალება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მათ აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა </u>საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს და შედეგებს. კურიკულუმებში აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებში განვითარდეს XXI საუკუნის ისეთი უნარებს, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები შეეხნენ კომპლექსური დავალების იდეების კავშირს გლობალურ-ფუნქციურ უნარებთან, მაკროცნებებსა და სამიზნე ცნებებთან, რომ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები </u>სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გსაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>სპორტი -</u> კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალური ფუნქციურ უნარებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ეს სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებებისა და შედეგების გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

  კურიკულუმების ჩარჩოები აჩვენებს, რომ სპორტის საგანი უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. განვიხილოთ თითოეულ გლობალურ ფუნქციურ უნართან შესაბამისობა.

  შემოქმედებითობა - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლ მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ანვითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას.

  კრი-ტი-კუ-ლი აზ-როვ-ნე-ბა - მასწავლებელთან ინტერვიუზე დაყრდნობით კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას ასევე სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

  კო-მუ-ნი-კა-ცია - წარმოდგენილი კურიკულუმებით ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან დიალოგი, მსჯელობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთანხმება. მაგალითად სასკოლო ბუკლეტის მომზადების დროს მას შემდეგ რაც მოსწავლე შეარჩევს თემას მნიშვნელოვანია ის ისე წარმოადგინოს, რომ გაითვალისწინოს აუდიტორია. თავისი აზრი გამოხატოს რელევანტური საშუალებით.

კო-ლა-ბო-რა-ცია - მოიაზრებს ჯგუფში მუშაობის წესების ფლობას, პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება - სასკოლო ფესტივალი, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ. ამ დავალებაში მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კომპლექსური დავალების მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას მიზნის მისაღწევად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად. ყველაფერი აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებას.

მოქალაქეობა - გულისხმობს მსჯელობას და მოქმედებას თემის ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კომპლექსური დავალებები სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება. მაგალითად სასკოლო კონფერენციის თემატიკა სწორედ ამ მიზანზეა ორიენტირებული. მოსწავლეებში ხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ და კომპლექსური დავალების ფარგლებში ხდება თემისთვის აქტუალური პრობლემების გაანალიზება.

ხასიათი/ნებელობა - კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, როგორიცაა სასკოლო ფესტივალი და ლაშქრობის დაგეგმვა მოსწავლისაგან მოითხოვს მიზნის შერჩევას, ამ მიზნისკენ მიმავალი აქტივობების დაგეგმვას, შესრულების პროცესის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მის ჩანაცვლებას სხვა უფრო რელევანტური აქტივობით.

კარგად გაწერილი კურიკულუმი მოსწავლეებს აძლევს საშულებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი შეძენილი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მe-9 კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობა დარღვეულია და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული.

- _საშუალო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს. მსგავის ტიპის დავალებებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი უზუსტობისა შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საშუალო საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) **დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და კომპლექსური დავალებები მეტყველებს იმაზე, რომ კურიკულუმი მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ჩარჩოში ჩაშენებულია სამიზნე ცნებები და ქვეყნები. კომპლექსური დავალებების იდეა და შინაარსი იძლევა მოსწავლის აქტიური ჩართვის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. მაგ.:კრისტალების გაზრდა, კვერცხისაგან ჩაფხუტის გაკეთება, წყლის და სხვა ნივთიერების მოლეკულის მოდელის შექმნა, საინფორმაციო პოსტერების და ბუკლეტების დამზადება და სხვა. ეს ყველაფერი დასტურდება პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალებიდან, მოსწავლეთა პორტფოლიოებიდან და ნამუშევრებიდან. ამრიგად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისკენ.

- საზოგადოებრივი მეცნიერებებისაზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრი მასწავლებლები, ინტერვიუს პროცესში, ესგ - ით გათვალისწინებული გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, იყენებდნენ დიფერენცირებულ მიდგომებს და მოსწავლეებს სთავაზობდნენ ალტერნატიული ფორმატის აქტივობებს.

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- მათემატიკა - საშუალო საფეხურზე სკოლას გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესში მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე გააჩნია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. მასალებში წარმოდგენილა მე-8 კლასის მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კომპლექსური დავალებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებლები ეყრდნობიან მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნას. როგორც აღნიშნეს, სსსმ მოსწავლისათვის ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკა. ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე, სწავლების პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სახელმწიფო ენა სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი და ა.შ.) სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტიურ დონეს და გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. სასწავლო გეგმები მტკიცდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ. წლის განმავლობაში იმართება მინიმუმ ოთხი ისგ ჯგუფის შეხვედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და დგება შეხვედრის შესაბამის ოქმები. ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი და წლის ბოლოს ყველა ჩართული სპეციალისტი წარადგენს წლიურ ანგარიშს. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები-გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში შქმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათელაბს, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სპორტი- ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა, განსაზღვრული აქვთ შესაბამისი აქტივობები და რესურსები.

  წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია.
  პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და მოყოლილ სასწავლო პროცესს და სასწავლო გეგმას . დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორთან მიმართებით **დგინდება შესაბამისობა.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ჩანს შსს-მ მოსწავლის ინდ გეგმაში. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს აძლევენ თავისუფალი არჩევანის უფლებას დავალებების შესრულებისას: თავად წყვეტენ თუ როგორი მასალით და რა ფორმით შექმნანა სხვადახვა მოდელი ან დიორამა. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროებებს დიაგნოსტიკური ტესტებით, გასასვლელი ბილეთებით, თვითრეფლექსიებით და ა.შ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- საზოგადოებრივი მეცნიერებებიინტერვიუს პროცესში კათედრის წარმომადგენელი მასწვალებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი სისტემატურად იკრიბებიან კათედრის მასშტაბით და მსჯელობენ, როგორც კურიკულუმის შექმნის ისე მისი განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი მოსწავლეების ტიპურ ხარვეზებსა და წარმატებებს, (აღნიშნეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ აკეთებენ სისტემატიურ ჩანაწერებს მოსწავლეთა შედეგების შესახებ) რაც საშუალებას აძლევს ეს ყოველივე ასახონ კურიკულუმში, მის განახლებულ/გადამუშავებულ ვერსიებში.

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- მათემატიკა - წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებს შეფასება ეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. საშუალო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება შეფასდება solo-ტაქსონომიით. სკოლას წარმოდგენილი აქვს IX კლასის კონკრეტული თემების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სახელმწიფო ენა სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება შეფასების პირველი მოდელის საშუალებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. განმავითარებელი შეფასების ფორმაა SOLO ტაქსონომია, რომლითაც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება დონეების მიხედვით, მათი შედეგებიდან გამომდინარე. წარმოჩინდება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარები, ეძლევა რჩევა-რეკომენდაციები,რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზნებს.ასევე სისტემატიურად ხდება მშობელთა ინფორმირება. აღნიშნული შედეგების ანალიზის საფუძველზე, მოხდება მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის დასახვა. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა წარმატებების უზრუნველსაყოფად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. დიაგნოსტიკური შეფასება. რომლის მიზანიც იქნება სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები, ნათქვამია რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- <u>სპორტი -</u> კურიკულუმებში გათვალისწინებულ კომპლექსურ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ნაწილი აქვს კარგად გააზრებული. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

  განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

  <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u>სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა შეფასების გზები და მიზნები, წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი კომპონენტი და მასწავლებელთა უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაგეგმონ საკუთარი სწავლის პროცესი და დინამიკაში დაინახო საკუთარი პროგრესი, დასახონ ხარვეზების გამოსწორების გზები. რჩევის სახით მივაწოდეთ კათედრის წევრებს, რომ, სასურველია აწარმოონ ექსპერიმენტის ცდის ოქმები, დაკვირვების დღიურები, მარტივი კვლევის ანგარიშები, რომელთა დახმარებით შეძლებენ მოსწავლეები შეამოწმონ საკუთარი ჰიპოთეზის სისწორე და გამოიტანონ დასკვნები.
- საზოგადოებრივი მეცნიერებებიინტერვიუში აღნიშნეს, კათედრის წევრმა მასავლბლებმა, რომ აქვთ აქტიური და ეფექტიანი ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მაგ. მიმდინარე სწავლა - სწავლების პროცესის შესახებ აწვდიან მათ პერიოდულ ინფორმაციას და აქვთ ჯანსაღი ურთიერთობა, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა ფორმატის კომუნიკაციას, მაგ: ზეპირი, წერილბითი, ინდივიდუალური და ჯგუფური. განსაკუთრებით აღინიშნა რომ ყველაზე ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელ Facebook - ში შექმნილ ჯგუფს ზოგადი აქტუალური საკითხების განხილვისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ინფორმაციის მიწოდებისთვის, ინდივიდუალურ საკითხებს კი განიხილავენ კონკრეტული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კონფიდენციალობის და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურის სახელმწიფო ენის საგნების მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც (თვითშეფასება, გაკვეთილებზე დაკვირვება...) დასტურდება. წინა წლის სასკოლო სასწავლო გეგმის, კათედრებისა და დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი მხარეებისა და დაძლევის სტრატეგიების განსაზღვრა. აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე კი მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება. კათედრაზე, თანამშრომლობით პროცესში ზეპირი ფორმითაც ხდება წინა გამოცდილების რეფლექსია, რასაც დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ. საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრა გუნდური მუშაობის პრინციპით ახდენს წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განაახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მათემატიკა - როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა და ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. კათედრაზე წინა სასწავლო წლის სასწავლო გეგმის, განხილვის საფუძველზე ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა. მოსწავლეთა ინტერესებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

სპორტი - ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების მრავალფეროვანი იდეები რაც გვაფიქრებინებს რომ პედაგოგი ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ამასვე ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუების ანალიზი.სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში ჩანს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი, სადაც მოცემულია კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც პედაგოგები სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესების გზებს. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა სკოლაში მაფიქრებინებს, რომ სკოლას აქვს წინარე გამოცდილების ანალიზზე ახალი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი და აღწერილი კურიკულუმები მეტწილად მორგებულია მოსწავლეზე, ითვალისწინებს დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ისგ-ს ნიმუში;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.1.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- მათემატიკა - კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ მთავარი ორიენტირი მოსწავლეა. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, რაც იწვევს მათ აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში და აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- სახელმწიფო ენა სწავლა-სწავლების პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამის საშუალებას იძლევა სკოლაში განხორციელებული კურიკულუმი, პროექტები, კლუბებში მუშაობა თუ არაფორმალურ გარემოში მონაწილეობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს, რაც ჩანს კომპლექსურ დავალებებში. ამ მეთოდით სწავლება კი მიმდინარეობს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომონენტებში ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ხუთი პრინციპის დაცვით. კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილი საკვანძო კითხვები, იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას. ასევე მაგ. საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებში, კონკურსებში, კლუბურ მუშაობაში. ამ სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს, შეარჩიოს, გადაამუშაოს და კურიკულუმში ჩააშენოს მამოტივირებელი შინაარსის კიდევ მეტი კომპლექსური დავალება, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა კიდევ უფრო გააქტიურებას, ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას, მაღალი შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების გამომუშავებას.

ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u>

<u>სკოლა მუშაობს მესამე თაობის ე.ს.გ მიხედვით და აქტიურად ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს</u> კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო, პროექტი და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. გასაუბრების ეტაპზე გაჟღერდა, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში განხილული თემები და შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები (მაგ: პრეზენტაცია, სასკოლო ფესტივალი), აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას.

მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემო,ს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების და კომპლექსური დავალებების შინაარსიდან ჩანს, რომ სწავლების პროცესი იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე აქტიურად და შემოქმედებითად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. კვლევის და მარტივი ექსპერიმენტების დროს მოსწავლეს უწევს ფიქრი პრობლემის გადასაჭრელად და ისახავს მიზნად მათ გადასაჭრელად. ადგილზე დათვალიერებისას მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები (ატომის აღნაგობის მოდელები, ფილტვის და სხვა ორგანოების მოდელი და სხვ.) არის ამისი დასტური. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, დიდ ყურადღებას აქცევენ კეთებით სწავლებას, რაც საგნობრივ ჭრილში ძალიან აქტუალურია და მოსწავლეებს უქმნის მოტივაციას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

<u>2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით</u>

- <u>მათემატიკა -</u> კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი და კომპლექსური დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს. რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. რაც დაადასტურეს ინტერვიუზე მასწავლებლებმაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა</u> სასწავლო პროცესი ქმნის მოსწავლის გამოცდილების უწყვეტობას. საშუალო საფეხურის კლასების მასწავლებლები დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მასწავლებლები კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუნების დავალებებით მუშაობენ, კათედრა ძირითადად იზიარებს ამ პრინციპს, რადგან კომპლექსური ბუნების დავალება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნის გააქტიურებას და ახალი ცოდნის კონსტრუირებას. კომპლექსურის განხორციელების პროცესში გააქტიურებული გეზისმიმცემი კითხვები, დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ააგოს ახალი ცოდნა, რომელიც კომპლექსურის პროდუქტის შესაქმნელადაა საჭირო. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, სტრატეგიულ გეგმაში ამ პრინციპზეცაა ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად, ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა, ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმიდან, გასაუბრების შედეგების ანალიზიდან გამოიკვათა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე

  კომპლექსური დავალებების ბარათებში მოცემულია კონტექსტ მაგალითითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლავა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ახალი ცოდნის დამუშავება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ ჩარჩოში მოცემული თემატური საკითხები ლოგიკურადაა დალაგებული. ყოველი მომდევნო საკითხი/თემა ითვალისწინებს/მოითხოვს წინა თემის/საკითხის დამუშავებას.

  წარმოდგენილ მატრიცებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება ძველ ცოდნაზე დაყრდნობით და ეტაპობრივად. მსგავსადაა აგებული და დაგეგმილი ყველა სხვა დანარჩენი კლასების მატრიცებიც.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, განხორციელებული პროექტები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მიუხედავად ამისა კურიკულუმებში არ იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. არ ჩანს თემის საკვანძო შეკითხვები, ჩარჩო კურიკულუმებს არ ერთვის თემატური დაგეგმვის დოკუმენტები (მატრიცა), დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან **შესაბამისობა დასტურდება.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის სასწავლო გეგმიდან, კურიკულუმის შეფასების დოკუმენტიდან, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკს, მზაობას და ინტერესებს. ამისთვის იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს და მეთოდებს: დიაგნოსტიკური წერები, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლეთა თვითრეფლექსიები. კომპლექსური დავალებებში მოცემული კონტექსტ მაგალითებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები იღებენ ახალ ცოდნას და გამოცდილებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- მათემატიკა - წარმოდგენილ კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები, მზაობა და სურვილები, რათა მაქსიმალურად წაახალისონ მათი ჩართულობა სასწვლო პროცესში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა</u> მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, მოსწავლეს შეუძლია სწავლის ღირებულების განსაზღვრა და რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობას, რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს და სხვა.

  მარტივიდან რთულისაკენ სააზროვნო დონეების მიხედვით დასმული შეკითხვები, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები, როლური თამაშები და სხვა სტრატეგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს, გააცნობიერონ და გააკონტროლონ ის. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული განმავითარებელი შეფასებებიც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისკენაა მიმართული. ამ ინდიკატორში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტის მოთხოვნებს.
- <u>უცხოური ენები</u> კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმის იმ ნაწილში, სადაც საუბარია შეფასებაზე, ჩამოთვლილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, წინარე ცოდნის შემოწმების მიზნით ე.წ ,,ჩეკლისტი'' ..) ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლის მხიდან სწავლების სწავლაზე დაკვირვებას და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები იყენებენ მეტაკოგნიციური უნარების განმავითარებელ აქტივობებს, მოსწავლის თვითრეფლექსიას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**
- <u>სპორტი -</u> საგნობრივ ჩარჩოებში მოცემული თემების/საკითხების ჩამონათვალი და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეების მიერ სწავლის სტრატეგიების დაუფლებაზე. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ყოველი აქტივობის შესრულებისას ითხოვენ მოსწავლისგან რეფლექსიას რაც უზრუნველყოფს სტრატეგიების დაუფლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპსა და მის ბოლოს მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- ესთეტიკური აღზრდა სკოლა წარმოაგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალიდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება, მაგრამ არ დასტურდება ეს მტკიცებულებების სახით. **სკოლა ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისობაში.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმები, კითხვარები, კვლევების ანგარიშები და სხვა. მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლეებს სწავლის სწავლაში და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას. მასწავლებლების მიერ შეთავაზებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მაგ.: "დააკვირდი და გამოიტანე დასკვნა, თუ როგორ მუშაობს გული სხვადასხვა დატვირთვის დროს", "დაამზადეს სხვადასხვა ტიპის ნარევი და იმსჯელეს მის თვისებებზე და დაყოფის ხერხებზე," და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- მათემატიკა - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის დაუფლება და მისი გამოყენება პირობისეული ცოდნის ასაგებად. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს უპირატესობა ენიჭება პირობისეული ცოდნის მიღწევას. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა</u> კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესი უკვე ქმნის ამ პრინციპის რეალიზების წინაპირობას, რადგან კომპლექსური დავალების პროდუქტზე მუშაობისას მოსწავლემ დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ტრანსფერი უნდა განახორციელოს, რაც ცოდნის პირობისეული ბუნებას ადასტურებს. ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ამ ინდიკატორში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეუილი ცოდნის განვითარებაზე, ასევე უცხო ენის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს.გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრმატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კომპლექსური დავალებების პირობებში, ასევე არაფორმალური განათლების ელემენტები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის ერთანიარ მნიშვნელობას ანიჭებს სამივე ტიპის ცოდნას. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- <u>სპორტი -</u> სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, კომპლექსური დავალების მიხედვით - სასკოლო კონფერენცია, მოსწავლეებმა უნდა შექმნან პრეზენტაცია რომელსაც წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.

  ამისათვის მოსწავლეებს დასჭირდებათ არა მხოლოდ საგან სპორტის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, არამედ დასჭირდებათ გაიხსენო სხვა საგნებში ნასწავლი ინფორმაცია და ასევე ახალი აქამდე უცნობი ინფორმაციის მოძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია თემები/საკითხები, მრავალფეროვანი რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის დეკლარაციული ცოდნის მიცემას, კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებას. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო ცოდნის სამივე კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები, განხორციელებული პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. კურიკულუმების ჩარჩებისა და მასწავლებლების ინტერვიუების დროს მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანთ, რომ საშუალო **საფეხურის მუსიკიასა და სხვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობაშია .**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებაზე. მაგ.: რომელი ორგანოები ქმნის გულ-სისხლძრღვთა სისტემას? რა ფუნქცია და დანიშნულება აქვს მას და როგორ ხდება სისხლის მოძრაობა. ? შეადარე ერთმანეთს ხერხემლიანი ცხოველების და ადამიანის გულსისხლძართვთა სისტემის აგებულება და ფუნქციები და იმსჯელეს მათ განსხვავებაზე. და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- მათემატიკა - წარმოდგენილ კურიკულუმებზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა წინარე და ახალი ცოდნის, სხვა საგნებთან კავშირისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საშუალებას. „მასწავლებლების მიერ ხდება ისეთი კომპლექსური დავალებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის ცოდნის ორგანიზებას და უკვე არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას“ - წერია სკოლის თვითშეფასების ფორმაში. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ისინი ეხმარებიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობა.**

- სახელმწიფო ენა სკოლის თვითშეფასების, საგნობრივი კურიკულუმებისა და მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი სტანდარტებით შედგენილი კურიკულუმებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სახელმწიფო ენის შემთხვევაში მნიშვნელოვნია თემატური დაგეგმვაც, რადგან თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სასწავლო მასალასა და მოსწავლის ცოდნას შორის. კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას. ინდიკატორი **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები უცხო ენების განობრივი კურიკულუმის ჩარჩოს სასწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მისაღწევია. .**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდართთან.**

- სპორტი - საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.

  თემატური მატრიცები და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მათშია ჩაშენებული, ასევე განხორციელებული სასწავლო პროექტების აქტივობები იძლევა საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას . მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ.აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

- ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საშუალო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას აქცენტი კეთდება დაკვირვებაზე, ექსპერიმენტებზე და კვლევებზე, კეთებით სწავლებაზე, რაც თვისთავად გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოსწავლე ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ამას ადასტურებს მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტები (ფილტვის, თირკმლის და კბილის მოდელები, დიორამები ეკოსისტემების შესახებ). რჩევის სახით მიიღეს ლათედრის წევრებმა, რომ ასეთი აქტივობების განხორციელებისას სასურველია აწარმოონ მოსწავლეებმა დაკვირვების დღიურების, ცდის და ექსპერიმენტის ოქმები, თვითრეფლექსიები და კვლევის ანგარიშები, რაც თავის მხრივ განუვითარებს მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს და შეძლებენ საკუთრი ცოდნის ორგანიზება და ურთიერთაკავშირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასწავლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით</u>

- <u>მათემატიკა -</u> სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა</u> კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე, საგნობრივ კურიკულუმზე, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე, კათედრის წევრებთან კომპლექსური დავალებების შესახებ გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითებთან, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ძირითადად უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. ამ კომპონენტში კათედრა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> უცხო ენების კათედრა სამივე საფეხურზე საგნებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კვირის გეგმების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

- <u>სპორტი</u> საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, გაიაზროს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კონტექსტში და შესაბამისად განახორციელოს სასწავლო პროცესში ამას ადასტურებს მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კურიკულუმებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ე.ს.გ შესაბამისად.

  კურიკულუმების ჩარჩოებში ნათლად ჩანს ყველა თემის კავშირი სამიზნე ცნებასთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამის<u>ი.</u>

- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი** საშუალო **საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტორთან შესაბამისობაშია.

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> სამივე საგნის (ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა) კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეყნები და კონტექსტ მაგალითები, რაც გრძელვადიან მიზანთან მიმართებაშია. კომპლექსური დავალების ტიპის ბარათებში აქცენტი კეთდება მკვიდრ წარმოდგენებზე. პირისპირ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისე, რომ საგნობრივი საკითხების შესწავლისას მოხდეს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება, ეს შედეგი კი მიიღწევა მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებიდან, რომლებიც ნათლად ჩანს კომპლექსური დავალებების შინაარსში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

<u>2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;</u>

- <u>მათემატიკა -</u> კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ისეა შერჩეული და საკითხები მოცემულია ისეთ კონტექსტში, რომ ხელი შეუწყოს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- <u>სახელმწიფო ენა</u> საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმაც აღნიშნეს, რომ ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. თვით საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები პირდაპირ კავშირშია მოსწავლის პიროვნული განვითარების პროცესთან, მათ შორის, ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან. კონტექსტები, რომლებიც მოსწავლის უახლოეს გარემოს უკავშირდება, აღძრავს ისეთ დილემურ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა კონფლიქტები და მათი მიზეზები, გადაწყვეტის გზები. მასწავლებლებთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ ისეთი კითხვების გამოყენება, როგორიცაა: მის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? რა სიტუაციაში გამოგადგება მიღებული ინფორმაცია? ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- უცხოური ენები საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების თემები, დავალებაზე მუშაობისას წამოჭრილი პრობლება, შესასრულებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები ორივე უცხოურ ენაში შეესაბამება მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ სოციო-ემოციური განვითარების დონეს, ინტერესებს, აქტუალურ სახკითხებს.გასაუბრების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებს და ამგვარად გეგმავს სასწავლო პროცესს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- სპორტი - საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსი და კომპლექსური დავალებების იდეები აჩვენებს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. იგივეს ადასტურებს მასწავლებლებთან განხორცილებული ინტერვიუების ანალიზი. კურიკულუმების ჩარჩოებში მოცემული თემები/საკითხები და განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეები მაგ: სასკოლო ფესტივალი, ბუკლეტის მომზადება მოიაზრებს იმდაგვარი ტიპის სამუშაო პროცესს, რაც ხელს უწყობს ფსიქო-ემოციური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ პარალელურ კლასელებთან.

  ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.
  ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

- ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან არის შესაბამისობა.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საგანში კომპლექსური დავალებების თემები და საკითხები იმგვარად შერჩეული, რომ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები და საჭიროებები და შეესაბამება მოსწავლეთა სოციო-ემოციური განვითარების დონეს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს იკვლევენ დიაგნოსტიკური წერის, გასასვლელი ბილეთების და თვითშეფასების კითხვარებით. ამგვარად, კათედრა ერთობლივად გეგმავს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

<u>2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე</u>

- <u>მათემატიკა -</u> სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომელთაც იყენებენ სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. ინდიკატორი შესაბამისობაშია<u>.</u>

- <u>სახელმწიფო ენა</u> სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- <u>უცხოური ენები</u> სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს შეფასების მექანიზმები, გარდა ამისა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება,შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია.სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
- <u>სპორტი -</u> რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ აფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**
- <u>ესთეტიკური აღზრდა -</u> 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. საშუალო საფეხურზე, კათედრის მიერ სასწავლო პროცესში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო აქტივობების განუყოფელი ნაწილია. მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურზე **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-</u> სკოლას სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარები, თვითშეფასების ფორმების და დაკვირვების ფორმები და სხვა.) აღნიშნული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული ერთიანი ვერიფიკაციის მექანიზმი. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>

<u>**2.2.2.4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**</u>

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასება სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. თვითსეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლა იყენებს თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას და მასწავლებელთა სისტემატურ ჩანაწერებს მოსწავლის მიღწევებზე, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.2.5. <u>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>

სკოლას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელსაც განახორციელებენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის. სსიპ ქალაქ თბილისის 48-ე საჯარო სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პირებად განსაზღვრულნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. ექპერტთა ჯგუფის მხრიდან ჩატარებული შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეების ნამუშევრების ანალიზი და შედეგების დიაგნოსტირება. მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო მოქმედი სასკოლო- სასწავლო გეგმა და საშუალო საფეხურის კათედრის ოქმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. <u>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დოკუმენტების აღრიცხვასა და შენახვას, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის აღრიცხვისა და შენახვის ვადა გაწერილი-დაკონკრეტებული. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც თავმოყრილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის შესახებ. პირადი საქმის შენახვის ვადები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სქემები;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- საფეხურის დაძლევის ოქმები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში ვიზიტის დროს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა, მშობლებთან ურთიერთობის დებულება) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და წარმომადგენლებს ერთმანეთთან უშუალო დამოკიდებულება აქვთ. ხშირია მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრა მოსწავლის საჭიროებებისა თუ მათი ინიციატივების მოსმენის კუთხით, სკოლა მშობელბთან თანამშრომლობს სხვადასხვა პროექტის განხორციელების ეტაპზე, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შექმნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარების, იდეების მხარდაჭერისა და ინიციატივების წასახალისებლად კლასის დამრიგებელი. ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია.

2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე საკუთარი სასწავლო მათოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს, წამახალისებელ მითითებებს ან წერილობით უკუკაშირს და სიმბოლურ ნიშნებს. ხოლო V კლასში II სემესტრში და VI კლასში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი,ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში, კათედრის წევრებს იდეის დონეზე გაგებული აქვთ ამ მიდგომის არსი და მნიშვნელობა.

სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურაზე, ურთიერთსწასვლებასა და შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ამას ადასტურებს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებები, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. ჩანს, რომ გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სასწავლო და შემეცნებით აქტივობებს, ითვალისწინებენ, ერთი მხრივ, მოსწავლეთა, მეორე მხრივ კი კოლეგების მოსაზრებებს, არსებობს მშობლებთან ურთიერთობების სხვადასასხვა ფორმატი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. სახელმწიფო ენის სგანშიდაგეგმილი აქტივობები, მეთოდები, რომლებივ მოტივაციას ქმნის ღია დათავისუფალი დისკუსიებისთვის , საკითხის კრიტიკული გააზრებისთვის, აჩვევს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრების ღიად გამოთქმას, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენასა და პატივისცემას, უტოვებსმოსწავლეებს ალტერნატიული დავალებების არჩევანს, რაც წარმოადგენს პოზიტიურიკლიმატის შექმნის წინაპირობას კლასში, ხოლო სკოლის დონეზე ამას აჩვენებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები: ექსკურსიები, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ხარისხის ჯგუფის და კათედრების მიერ. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ვლინდება საჭიროებები და ხდება უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები სამუშაო შეხვედრების დროს გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებას, აკეთებენ და ანალიზს, ხდება საუკეთესო პაქტიკის გაზიარება. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. კათედრის წევრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სკოლაში სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. მოწმდება, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი წესის და მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება თანამშრომლობითი კულტურა , მხარდაჭერა და მოსწავლეების და მასწავლებლების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. სკოლა ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, სადაც სხვა ფუნქცია მოვალეობებთან ერთად ჩანს კათედრების როლის გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობაზე ზრუნვის, გუნდური მუშაობის პრინციპების დამკვიდრების , სხვადასხვა პროგრამებში, ოლიმპიადებში, კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობის, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, პედაგოგთა შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიმართულებით. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ ,რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებით ირკვევა, რომ მასწავლებლები ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს , ანალიზებენ და აფასებენ საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და სამუშაო შეხვედრებზე გამოცდილების, ფუნქციების და მოვალეობების გაზიარებით . მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ნიმუშებიდან და გასაუბრებიდან დადგინდა მოსწავლეთა მხარდაჭერა და განვითარებაზე ზრუნვა, რადგან იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სქემებს („შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები“, “ვიცი,მინდა ვიცოდე“, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თვითრეფლექსიები და სხვა) მათგან უკუკავშირის მისაღებად და მათი ინტერესების, საჭიროებების, შესაძლებლობების დასადგენად რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის აღწერაში წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სამი მიმართულებებით- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გამოვლენილი პრობელების გადაჭრა; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. საშუალო საფეხურის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა მასწავლებლების მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკის ნიმუშზე და გასაუბრებაზე დაყრდნობთ დგინდება კათედრის გამოცდილება სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების სქემებს, კითხვარებს. აწარმოებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, დაკვირვებას, შემაჯამებელი წერების ანალიზს, რაც პრობლემების, ნაკლოვანებების, სუსტი მხარეების დადგენას უზრუნველყოფს და ეხმარება მათ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ამ პრობლემების დასაძლევად, აღმოსაფხვრელად. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებას გეგმავენ მომავალშიც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის შემუშავების მტკიცებულება;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.2.1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. ასევე იყენებენ მოსწავლეების გამოკითხვასა და მოსწავლეებზდე დაკვირვებას. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით, გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, აგრეთვე, აქვთ ჯგუფური მუშობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები, ასევე, მტკიცებულებად აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. სკოლისთვის მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმუვად იკვლევს, აკვირდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. კათედრა გეგმავს ყველა თემისთვის შექმნას შეფასების ახალი რუბრიკები ქოუჩების მიერ შეთავაზებული ნიმუშების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციას იღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებია გამოყენებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შესაგროვებლად, პედაგოგების მიერ გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებები, რეფლექსიები, განმავითარებელი კომენტარი. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების დროს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი კულტურა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

თვითშეფაების კითხვარსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს პროცესების შეფასების კულტურა. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კათედრაზე შეფასება ხორციელდება სხვადსხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მოტივაცია, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგებზე.
კათედრები მუშაობენ ისეთ შეფასების კრიტერიუმებით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი. კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე. გათვალისწინებულია ასევე დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.3 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და განახლდება ყოველწლიურად. ახალი სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში იწყება და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, პედაგოგებს აქვთ კურიკულუმის შექმნისა და რევიზიის გამოცდილება. სკოლის კურიკულუმის განხორციელების ეტაპზე ხდება პროცესზე დაკვირვება. ამასთან, ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. ამ პროცესში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ახდენენ მის განზოგადებას, ადგენენ იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. შესაბამისად, იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები გაანალიზებული და გამოყენებული იქნება კურიკულუმის რევიზიის პროცესში. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, ახალი კურიკულუმის შედგენისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. ასევე, გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1- შესაბამისობის გეგმა

12.11.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: